ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 25 აპრილის №01-06/03
მორიგი სხდომის დღის-წესრიგის პროექტი

1. სსიპ - საქართველოს ნოტარიუსთა პალატაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, ვადიანი, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის ეკონომიკური განვითარების
სამსახურის უფროსი: სულიკო ბოლქვაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს ქონების მართვის და
ბუნებრივი რესურსების საკითხების
კომისიის თავმჯდომარე: მერაბ ნაკაშიძე

2. ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2025 წლის I კვარტლის შესრულების ანგარიში.

მომხსენებელი: მერიის საფინანსო-საბიუჯეტო
სამსახურის უფროსი: ჯემალ ტაკიძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე: ამირან წულუკიძე

3. შიდა აუდიტის სამსახურის 2024 წლის ანგარიში.

მომხსენებელი: მერიის შიდა აუდიტის
სამსახურის უფროსი: შოთა ბერიძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და
ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ვაჟა აბულაძე

პროექტი

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

2025 წლის -- აპრილი
დაბა ქედა

სსიპ - საქართველოს ნოტარიუსთა პალატაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, ვადიანი, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-4-ე, პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებით დამტკიცებული ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების“ 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-2 პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. მიეცეს თანხმობა ქედის მუნიციპალიტეტის მერს (როლანდი ბერიძეს) ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, დაბა ქედა 26 მაისის ქ. №1-ში მდებარე შენობა-ნაგებობის მე-2 სართულზე არსებული 32.5 კვ.მ. ფართის (ს/კ21.03.35.021.01.500) (გადასაცემი შენობის ფართის შიდა აზომვითი ნახაზი განკარგულებას თან ერთვის) სსიპ - საქართველოს ნოტარიუსთა პალატაზე პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, 5 (ხუთი) წლის ვადით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე.

2. მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს ქედის მუნიციპალიტეტის მერს.

3. განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).

5. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

განმარტებითი ბარათი

სსიპ - საქართველოს ნოტარიუსთა პალატაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, ვადიან, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური აქტის (განკარგულება) პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია ინდივიდუალური აქტის პროექტის შესახებ:

ა.ა) ინდივიდუალური აქტის მიღების მიზეზი:

ინდივიდუალური აქტის მიღების მიზეზია საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 122-ე მუხლის მე-4, მე-5 და მე-6 პუნქტებისა და ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესებისა დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული დანართის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-4 და მე-5 პუქტების შესაბამისად „ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების „სსიპ - საქართველოს ნოტარიუსთა პალატაზე პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, ვადიან, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ რომელიც განსაზღვრავს ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, დაბა ქედა 26 მაისის ქ.№1-ში მდებარე შენობა-ნაგებობის მე-2 სართულზე არსებული 32.5 კვ.მ. ფართის (ს/კ21.03.35.021.01.500) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, ვადიან, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის პროცედურებს.

ა.ბ) ინდივიდუალური აქტის მიღების მიზანი:

ინდივიდუალური აქტის მიღების მიზანია საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ და ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესებისა დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების დაწესებულ მოთხოვნების შესაბამისად ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური აქტის მიღება. რომელის მიღებაც უზრუნველყოფს ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ ქონების გადაცემის პროცედურების სამართლებრივ რეგულაციას.

ასევე გაგიმარტავთ, რომ ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, დაბა ქედა 26 მაისის ქ.№1-ში მდებარე შენობა-ნაგებობის მე-2 სართულზე არსებული 32.5 კვ.მ. ფართის (ს/კ21.03.35.021.01.500) გადაცემა უნდა განხორციელდეს სსიპ - საქართველოს ნოტარიუსთა პალატაზე პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, ხუთი წლის ვადით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით.

ა.გ) ინდივიდუალური აქტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი ინდივიდუალური აქტის შესაბამისად ხდება ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ ქონების გადაცემის პროცედურების სამართლებრივ რეგულაციას, კერძოდ მერისათვის თანხმობის მიცემა ქონების გადაცემასთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ.

ა.დ) ინდივიდუალური აქტის მოკლე ვადებში მიღების (გამოცემის) დასაბუთება:

წარმოდგენილი ინდივიდუალური აქტის მიღება უნდა განხორციელდეს შემჭიდროვებულ ვადებში რათა ქედის მუნიციპალიტეტის მერიამ უზრუნველყოს ფართის გადაცემა დროულად რათა ნოტარიუსმა შეძლოს თავისი უფლებამოსილების განხორციელება ქედაში.

ბ) ინდივიდუალური აქტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) ინდივიდუალური აქტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

ინდივიდუალური აქტის მიღება არ გამოიწვევს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) ინდივიდუალური აქტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

ინდივიდუალური აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) ინდივიდუალური აქტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

ინდივიდუალური აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე, რადგან ქონების სარწყავი არხების გამართული და ეფექტური მუშაობისათვის (მოქმედებისათვის) საჭირო ჩასატარებელ სარეაბილიტაციო სამუშაოებს და მათი კაპიტალურ შეკეთებას უზრუნველყოფს ქონების მიმღები პირი.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

ინდივიდუალური აქტის მიღება არ წარმოშობს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ვ) ინდივიდუალური აქტის დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

ინდივიდუალური აქტის არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის დაწესებას.

გ) ინდივიდუალური აქტის მიმართება საქართველოს კანონმდებლობასთან და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებთან:

ინდივიდუალური აქტის არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და კანონქვემდებარე ნორმატიულ სამართლებრივ აქტებს.

დ) ინდივიდუალური აქტის პროექტის ავტორი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება.

ე) ინდივიდუალური აქტის პროექტის წარმდგენი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური (ს. ბოლქვაძე).

ვ) ინდივიდუალური აქტის ინიციატორი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერი.

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი **N 21.03.35.021.01.500**

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882022353621 - 23/05/2022 13:33:49

მომზადების თარიღი
23/05/2022 15:05:58

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი	კოდი
ქედა	დაბა ქედა			
21	**03**	**35**	**021**	**01/500**

მისამართი: ქედას მუნიციპალიტეტი, დაბა ქედა, 26 მაისის ქუჩა, N 1

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: **თანასაკუთრება**
ნაკვეთის ფუნქცია: **არასასოფლო სამეურნეო**
დაზუსტებული ფართობი:**283.00** კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი:
შენობა-ნაგებობები: **შენობა-ნაგებობა**

მესაკუთრეები

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882012208115 , **თარიღი 15/05/2012 09:48:33**
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 15/05/2012

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- ბრძანება N67 , დამოწმების თარიღი:14/04/2011 , აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე

მესაკუთრეები:
სსიპ ქედის მუნიციპალიტეტი , ID ნომერი:246762061

მესაკუთრე:	საკუთრების ტიპი:	საკუთრება:		ფართი:	წილი:
სსიპ ქედის მუნიციპალიტეტი	საკუთრება	**ფართი**	**სართული2,**	132.30 კვ.მ.	

იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

შეზღუდული სარგებლობა

განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882014364497 თარიღი 10/07/2014 17:08:40

უფლების რეგისტრაცია: თარიღი 18/07/2014

უზუფრუქტუარი: **ა.ი.პ. ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება** 446754209;
მესაკუთრე: **ქედის მუნიციპალიტეტი**;
საგანი:ფართი 62.5 კვ.მ;

ქედის მუნიციპალიტეტის და ა/ი/პ ''ქედის ბაგა-ბარების გაერთიანებას'' შორის დადებული უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულბე N2, დამოწმების თარიღი10/07/2014, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო,

მიღება-ჩაბარების აქტი, დამოწმების თარიღი02/07/2014, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო,

ბრძანება, რეესტრის ნომერი NN01-19/290, დამოწმების თარიღი02/07/2014, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის,

განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882022353621 თარიღი 23/05/2022 13:33:49

უფლების რეგისტრაცია: თარიღი 23/05/2022

უზუფრუქტუარი: **სსიპ საქართველოს ნოტარიუსთა პალატა**;
საგანი:ფართი 32.5 კვ.მ;
ვადა:3 წელი;

უსასყიდლო უზურფრუქტის ხელშეკრულება , დამოწმების თარიღი23/05/2022, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

ქედის მუნიციპალიტეტის **2025** წლის 3 თვის ბიუჯეტის შესრულების მიმოხილვა

ქედის მუნიციპალიტეტის 2025 წლის 3 თვის ბიუჯეტის მაჩვენებლები

ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

დასახელება	2025 წლის გეგმა	2025 წლის 3 თვე	
		გეგმა	საკასო შესრულება
შემოსავლები	30 228 500	6 072 545	5 645 528
გადასახადები	19 471 500	4 394 945	4 310 786
გრანტები	9 901 000	1 375 100	1 281 166
სხვა შემოსავლები	856 000	302 500	53 577
ხარჯები	21 830 676	5 952 121	4 805 136
შრომის ანაზღაურება	8 481 490	2 408 195	2 020 976
საქონელი და მომსახურება	4 781 270	1 170 650	996 710
პროცენტი	8 500	0	0
სუბსიდიები	4 013 765	978 900	762 531
გრანტები	2 100,00	0,00	0,00
სოციალური უზრუნველყოფა	1 694 942	532 242	406 823
სხვა ხარჯები	2 848 609	862 134	618 095
საოპერაციო სალდო	8 397 824	120 424	840 392
არაფინანსური აქტივების ცვლილება	9 185 600	936 200	904 716
ზრდა	9 215 600	936 200	909 116
კლება	30 000	0	4 400
მთლიანი სალდო	-787 776	-815 776	-64 324
ფინანსური აქტივების ცვლილება	-815 776	-815 776	-64 324
ზრდა	0,00	0,00	0,00
ვალუტა და დეპოზიტები	0,00	0,00	0,00
სესხები	0,00	0,00	0,00
კლება	815 776	815 776	0
ვალუტა და დეპოზიტები	815 776	815 776	64 324
ვალდებულების ცვლილება	-28 000	0,00	0,00
საშინაო	-28 000	0,00	0,00
კლება	28 000	0,00	0,00
საშინაო	28 000	0,00	0,00
ბალანსი	0,00	0,00	0,00

ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები,
გადასახდელები

შემოსულობების დასახელება	2025 წლის გეგმა	2025 წლის 3 თვე	
		გეგმა	საკასო შესრულება
შემოსულობები	**30 258 500**	**6 072 545**	**5 645 528**
შემოსავლები	30 228 500	6 072 545	5 645 528
არაფინანსური აქტივების კლება	30 000	0	0
გადასახდელები	**31 074 276**	**6 888 321**	**5 714 252**
ხარჯები	21 830 676	5 952 121	4 805 136
არაფინანსური აქტივების ზრდა	9 215 600	936 200	909 116
ვალდებულებების კლება	**28 000**	**0**	**0**
ნაშთის ცვლილება	**-815 776**	**-815 776**	**-68 724**

ქედის მუნიციპალიტეტის 2025 წლის I კვარტლის ბიუჯეტის შემოსულობები

ქედის მუნიციპალიტეტის 2025 წლის I კვარტლისათვის მიღებულია 1 281 166.11 ლარის გრანტი, მათ შორის: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერი 721 291.96 ლარი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სპეციალური ტრანსფერი - 559 874.15 ლარი, გადასახადებიდან მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 4 310 785.70 ლარი, მათ შორის: დამატებითი ღირებულების გადასახადი 4 283 103.20 ლარი, ქონების გადასახადი - 27 682.50 ლარი, სხვა შემოსავლებიდან სულ მიღებული იქნა 53 576.54 ლარი, მათ შორის: შემოსავლები საკუთრებიდან 17 157.21 ლარი, საქონელი და მომსახურების რეალიზაციიდან 6 562.77 ლარი, სანქციები, ჯარიმები და საურავები 11 390.18 ლარი, ტრანსფერები, რომლებიც არ არის კლასიფიცირებული 18 466.38 ლარი.

ქედის მუნიციპალიტეტის 2025 წლის 3 თვის ბიუჯეტის
ფაქტიური შემოსულობები

#	**შემოსულობის დასახელება**	საკასო შესრულება	წილი მთლიან შემოსულობებში
1	**შემოსავლები**	**5 645 528**	
1.1	გადასახადები	4 310 786	***76%***
1.2	გრანტები	1 281 166	***23%***
1.3	სხვა შემოსავლები	53 577	***1%***
ჯამი		**5 645 528**	**100%**

შემოსულობების ცალკეული კატეგორიების მიხედვით
შესრულების მდგომარეობა შემდეგია:

ქედის მუნიციპალიტეტის **2025** წლის I კვარტლის
ბიუჯეტის ფაქტიური შემოსულობები



#	შემოსულობების დასახელება	2025 წლის გეგმა	2025 წლის 3 თვე			
			გეგმა	საკასო შესრულება	გადახრა	შესრულება%
1	**შემოსავლები**	**30 228 500**	**6 072 545**	**5 645 528**	**-427 017**	***92,97%***
1,1	გადასახადები	19 471 500	4 394 945	4 310 786	***-84 159***	***98,09%***
1,2	გრანტები	9 901 000	1 375 100	1 281 166	***-93 934***	***93,17%***
1,3	სხვა შემოსავლები	856 000	302 500	53 577	***-248 923***	***17,71%***
2	**არაფინანსური აქტივების კლება**	**30 000**	**0**	**0**	***0***	***#DIV/0!***
ჯამი		**30 258 500**	**6 072 545**	**5 645 528**	**-427 017**	**92,97%**

მიმდინარე წლის მეორე კვარტალში მობილიზებული შემოსულობები წლიური გეგმიური მაჩვენებლის 19 % -ია.



შემოსავლები

ქედის მუნიციპალიტეტის 2025 წლის 3 თვის ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მოცულობა განისაზღვრა 6 072 545 ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებული იქნა 5 645 528 ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 92.97%.

შემოსავლები მოიცავს გადასახადებს, გრანტებსა და ფინანსურ დახმარებას, სხვა შემოსავლებს.

გადასახადები

ქედის მუნიციპალიტეტის 2025 წლის 3 თვის ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების შედეგების მიხედვით, საგადასახადო შემოსავლების ფაქტიურ შესრულებაზე მოდის 4 310 786 ლარი, რაც შესაბამისი გეგმიური მაჩვენებლის - 4 394 945 ლარის 98.09%-ია. თავის მხრივ, მთლიან შემოსულობებში საგადასახადო შემოსავლების წილი შეადგენს 76.36%-ს.

საგადასახადო შემოსავლების ცალკეული სახეების მიხედვით შესრულების მდგომარეობა შემდეგია:

ქონების გადასახადი _ ქედის მუნიციპალიტეტის 2025 წლის 3 თვის ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების შედეგების მიხედვით ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა – 27 682.50 ლარი, კერძოდ: საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) – 27 760.03 ლარი, ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა) – 39.18 ლარი, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე - 712.57 ლარი, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე - 1 170.72 ლარი.

დამატებული ღირებულების გადასახადები - მიმდინარე პერიოდის გეგმიური მაჩვენებელი შეადგენდა 4 393 945 ლარს, ხოლო საკასო - 4 283 103.20 ლარს, შესრულდა 97.48%-ით. კერძოდ, გადასახადი საქართველოს ტერიტორიაზე რეალიზებული პროდუქციიდან და გაწეული მომსახურებიდან - 1 818 844.36 ლარი და გადასახადი იმპორტირებული პროდუქციიდან - 2 464 258.84 ლარი.

<u>გრანტები</u>

2025 წლის 3 თვის განმავლობაში ფინანსური დახმარების სახით მიღებული იქნა 1 281 166.11 ლარი, გეგმიური მაჩვენებელი შეადგენდა 1 375 100 ლარს, გეგმა შესრულდა 93.17%-ით.

მიღებული ფინანსური დახმარებიდან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან მიღებული ფინანსური დახმარება 1 281 166.11 ლარს შეადგენს, მათ შორის: კაპიტალური ტრანსფერის სახით - 721 291.96 ლარი, სპეციალური ტრანსფერის სახით - 352 198.15 ლარი და რესპუბლიკური ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან სპეციალური ტრანსფერი - 207 676 ლარი (სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების დახმარების გაწევის მიზნით).

ადგილობრივი ბიუჯეტის მთლიან შემოსულობებში ფინანსური დახმარების წილი 12%-ია.

#	შემოსულობების დასახელება	2025 წლის გეგმა	2025 წლის 3 თვე		
			გეგმა	საკასო შესრულება	გადახრა
1	**სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები**	**10 108 676**	**1 582 776**	**1 281 166**	**-301 610**
1,1	სპეციალური ტრანსფერი	2 100 000	650 000	352 198	***-297 802***
1,2	გრანტები ცენტრალური სსიპ(ებ)-დან/ა(ა)იპ(ბ)-დან	151 000	0	0	***0***
1,3	კაპიტალური ტრანსფერი	7 650 000	725 100	721 292	***-3 808***
1,4	რესპუბლიკური ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი	207 676	207 676	207 676,00	***0***
ჯამი		**7 651 103**	**522 803**	**520 298**	**-2 505**

სხვა შემოსავლები

სხვა შემოსავლების 2025 წლის 3 თვის საპროგნოზო მოცულობა 302 500 ლარით განისაზღვრა, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 53 577 ლარი, ანუ გეგმის 17.71%. სხვა შემოსავლების წილი ადგილობრივი ბიუჯეტის მთლიან შემოსულობებში 1%-ს შეადგენს.

საანგარიშო პერიოდში სხვა შემოსავლების მდგომარეობა ცალკეული სახეების მიხედვით შემდეგია:

საკუთრებიდან მიღებული შემოსავლების სახით მობილიზებულია 17 157.21 ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (79 250 ლარი) 21.65%-ია. მათ შორის:

- პროცენტებიდან მობილიზებულია 12 659.05 ლარი, რაც პირველი კვარტლის გეგმის - 35 000 ლარის 36.17%-ს შეადგენს.

- რენტის სახით მიღებულია 4 498.16 ლარი, რაც პირველი კვარტლის გეგმის (44 250 ლარი) 10.17%-ია.

საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მობილიზებულია 6 562.77 ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (14 250 ლარი) 46.05%-ია. აქედან,

- ადმინისტრაციული მოსაკრებლებისა და გადასახდელების სახით _ 4 162.77 ლარი.

- არასაბაზრო წესით გაყიდული საქონლისა და მომსახურებიდან _ 2 400 ლარი.

სანქციების (ჯარიმები და საურავები) სახით მობილიზებულია 11 390.18 ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (9 000 ლარის) 126.56%-ია.

ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებულის სახით მობილიზებულია 18 466.38 ლარი, რაც მეორე კვარტლის გეგმის (200 000 ლარი) 9.23%-ია.



ქედის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის 3 თვის სხვა შემოსავლები

შემოსულობების დასახელება	2025 წლის გეგმა	**2025** წლის 3 თვე	
		გეგმა	საკასო შესრულება
სხვა შემოსავალი	**856 000,00**	**302 500,00**	**53 576,54**
შემოსავალი საკუთრებიდან	**357 000,00**	**79 250,00**	**17 157,21**
პროცენტი	210 000,00	35 000,00	12 659,05
რეზიდენტებისგან, სხვა სამთავრობო სექტორის გარდა	210 000,00	35 000,00	12 659,05
დეპოზიტებზე და ანგარიშებზე დარიცხული პროცენტები	210 000,00	35 000,00	12 659,05

რენტა	147 000,00	44 250,00	4 498,16
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	144 000,00	43 500,00	4 498,16
მოსაკრებელი წიაღით სარგებლობისათვის	12 000,00	3 000,00	0,00
მოსაკრებელი სახელმწიფო ტყის ფონდის მერქნული რესურსებით სარგებლობისათვის	90 000,00	30 000,00	701,25
მოსაკრებელი გარემოდან ამოღებული ტყის არამერქნული რესურსებით და ტყის მერქნიანი მცენარეების პროდუქტებით სარგებლობისათვის			91,00
მოსაკრებელი წყლის რესურსებით სარგებლობისათვის	17 000,00	4 250,00	132,48
მოსაკრებელი გარემოდან გადამფრენი ფრინველების ამოღებაზე			42,00
სხვა არაკლასიფიცირებული ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებელი	25 000,00	6 250,00	3 531,43
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	3 000,00	750,00	
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	**77 000,00**	**14 250,00**	**6 562,77**
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	57 000,00	9 250,00	4 162,77
სანებართვო მოსაკრებლები	30 000,00	2 500,00	280,00
მოსაკრებელი მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვაზე	30 000,00	2 500,00	280,00
მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	27 000,00	6 750,00	3 882,77
არა საბაზრო დაწესებულების მიერ განხორციელებული გაყიდვები	20 000,00	5 000,00	2 400,00
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	20 000,00	5 000,00	2 400,00
შემოსავალი შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	0,00	0,00	2 400,00
შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული მომსახურების გაწევიდან	20 000,00	5 000,00	0,00
სანქციები, ჯარიმები და საურავები	**72 000,00**	**9 000,00**	**11 390,18**

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო	29 000,00	7 250,00	10 390,18
შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროებში	6 000,00	1 750,00	2 500,00
შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო გარემოს დაცვის, ბუნებათსარგებლობის სფეროში	5 000,00	500,00	760,57
შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო ტრანსპორტზე საგზაო მეურნეობისა და კავშირგაბმულობის დარგში	18 000,00	5 000,00	7 129,61
საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის გამო	15 000,00	4 250,00	3 779,61
სხვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო ტრანსპორტზე საგზაო მეურნეობისა და კავშირგაბმულობის დარგში	3 000,00	750,00	3 350,00
შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო	7 000,00	1 750,00	1 000,00
შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები)	36 000,00	0,00	0,00
ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	**350 000,00**	**200 000,00**	**18 466,38**
მიმდინარე ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	350 000,00	200 000,00	18 466,38
სხვა მიმდინარე ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	350 000,00	200 000,00	18 466,38
სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	350 000,00	200 000,00	18 925,38

ქედის მუნიციპალიტეტის 2025 წლის 3 თვის ბიუჯეტის გადასახდელები

ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში

ძირითადი ფუნქციონალური კატეგორიების მიხედვით ქედის მუნიციპალიტეტის 2025 წლის 3 თვის ბიუჯეტის ხარჯების და არაფინანსური აქტივების ზრდა შემდეგნაირად გამოიყურება (იხილეთ დიაგრამა):



ქედის მუნიციპალიტეტის 2024 წლის 3 თვის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალური კლასიფიკაციის ჭრილში

დასახელება	2025 წლის გეგმა	2025 წლის 3 თვე			
		გეგმა	საკასო შესრულება	შესრულების %	%-ლი წილი
საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	**6 457 310**	**1 696 158**	**1 549 461**	**91,35%**	**27,12%**
აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	6 084 310	1 605 158	1 459 394	90,92%	25,54%
აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	6 039 700	1 604 400	1 459 394	90,96%	25,54%
ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	44 610	758	0	0,00%	0,00%
ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	8 500	0	0	#DIV/0!	0,00%
სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	364 500	91 000	90 067	98,97%	1,58%
ეკონომიკური საქმიანობა	**2 038 400**	**414 500**	**328 086**	**79,15%**	**5,74%**
სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა,მეთევზეობა და მონადირეობა	13 000	0	0	#DIV/0!	0,00%
სოფლის მეურნეობა	13 000	0	0	#DIV/0!	0,00%
ტრანსპორტი	1 456 000	270 400	235 532	87,11%	4,12%
საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	1 456 000	270 400	235 532	87,11%	4,12%
ეკონომიკის სხვა დარგები	569 400	144 100	92 554	64,23%	1,62%
ტურიზმი	569 400	144 100	92 554	64,23%	1,62%
გარემოს დაცვა	**2 011 600**	**521 800**	**441 910**	**84,69%**	**7,73%**
სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში	2 011 600	521 800	441 910	84,69%	7,73%
საბინაო-კომუნალური მეურნეობა	**5 317 900**	**339 300**	**289 427**	**85,30%**	**5,07%**
კომუნალური მეურნეობის განვითარება	2 285 000	0	0	#DIV/0!	0,00%
წყალმომარაგება	1 992 900	332 300	286 427	86,20%	5,01%
სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	1 040 000	7 000	3 000	42,86%	0,05%
ჯანმრთელობის დაცვა	**1 148 300**	**271 650**	**157 532**	**57,99%**	**2,76%**
სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	1 148 300	271 650	157 532	57,99%	2,76%
დასვენება, კულტურა და რელიგია	**6 192 900**	**1 334 945**	**1 218 799**	**91,30%**	**21,33%**

მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	2 476 500	208 145	198 650	95,44%	3,48%
მომსახურება კულტურის სფეროში	3 716 400	1 126 800	1 020 149	90,54%	17,85%
განათლება	**4 663 300**	**1 306 800**	**987 836**	**75,59%**	**17,29%**
სკოლამდელი აღზრდა	3 461 800	987 000	735 178	74,49%	12,87%
ზოგადი განათლება	1 201 500	0,000	252 658	#DIV/0!	
სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	1 201 500	319 800	252 658	79,01%	4,42%
სოციალური დაცვა	**3 216 566**	**1 003 168**	**741 201**	**73,89%**	**12,97%**
სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	32 000	8 000	5 104	63,79%	0,09%
სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	3 184 566	995 168	736 098	73,97%	12,88%
გადასახდელების ჯამი	**31 046 276**	**6 888 321**	**5 714 252**	**82,96%**	

ქედის მუნიციპალიტეტის 2025 წლის 3 თვის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალური კლასიფიკაციის ჭრილში



საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაზე 2025 წლის 3 თვის ბიუჯეტით დაგეგმილი იყო 2 728 208 ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი 1 278 844 ლარი შეადგინა, ანუ გეგმის 46.87%. ამ დარგში გაერთიანებულია ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფის, ფინანსური და ფისკალური საქმიანობის (სარეზერვო ფონდი), ვალის მომსახურებასთან დაკავშირებული საპროცენტო ხარჯები, საერთო დანიშნულების სხვა მომსახურების, წინა პერიოდის დავალიანებების დაფარვის (მათ შორის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების) ხარჯები. მისი ხვედრითი წილი საერთო საკასო ხარჯებში შეადგენს 23.49%-ს.

ეკონომიკური საქმიანობისთვის დაგეგმილი იყო 414 500 ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი 328 086 ლარი შეადგინა, ანუ გეგმის 79.15%. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 6.03%-ს. აღნიშნული სფერო მოიცავს სოფლის მეურნეობის, საავტომობილო ტრანსპორტი და გზების რეაბილიტაცია და კაპიტალური მშენებლობისა და შპს ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრის ფუნქციონირებას.

გარემოს დაცვაზე გათვალისწინებული იყო 521 800 ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი 441 910 ლარი შეადგინა, ანუ გეგმის 84.69%. ამ სფეროში გაერთიანებულია ქალაქის დასუფთავება და ნარჩენების გატანის ღონისძიებები. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში 8.12%-ია.

საბინაო-კომუნალურ მეურნეობაზე გამოყოფილი სახსრების გეგმა, რომელშიც შედის კომუნალური მეურნეობის განვითარება, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის და ექსპერტიზის, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების, წყლის სისტემების რეაბილიტაციის, გარე განათების ქსელის განვითარება და მოვლა-პატრონობის, უპატრონო შინაური ცხოველების მოვლა-პატრონობისა და პოპულაციის რეგულირების ღონისძიებების ხარჯები, პირველი კვარტლის გეგმა შეადგენდა 339 300 ლარს, ფაქტიურმა ხარჯებმა 289 427 ლარი შეადგინა, რაც გეგმის 85.30%-ია. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 5.32%-ს.

ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დაფინანსების მიზნით განსაზღვრული იყო 271 650 ლარი, გაწეული საკასო ხარჯი შეადგენს 157 532 ლარს, რაც დაგეგმილის 57.99%-ია. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 2.89%-ს. მასში გაერთიანებულია ამბულატორიული მომსახურების, მოწყვლადი სოციალური ჯგუფების მქონე პირთა მედიკამენტებითა უზრუნველყოფის, სოფლის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურეობის, თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირტათვის, ოპერაციული მკურნალობის თანადაფინანსების, ქრონიკული დაავადებების სამკურნალო სპეციფიკური მედიკამენეტებით უზრუნვეყოფის პროგრამის ხარჯები.

დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროსთვის გამოყოფილი სახსრების გეგმა შეადგენდა 1 334 945 ლარს, ფაქტიურმა ხარჯებმა 1 218 799 ლარი შეადგინა, რაც გეგმის 91.30%-ია. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 22.39%-ს. ამ სფეროში გაერთიანებულია სპორტული საკლუბო გუნდების მხარდაჭერის, სპორტული მოედნების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისა და მშენებლობის, სასპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობის და რეაბილიტაციის, სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერის, ა(ა)იპ ქედის კულტურის ცენტრის,

ა(ა)იპ ქედის ისტორიული მუზეუმის, კულტურული ღონისძიებების ორგანიზება, მხარდაჭერა და ხელშეწყობის, ინტელექტუალურის და შემეცნებითი პროექტების მხარდაჭერის, დაბა ქედის კულტურის სახლისა რეაბილიტაცია და წონიარისის კულტურის სახლის რეაბილიტაციის ხარჯები.

განათლების სფეროზე გათვალისწინებული იყო 1 306 800 ლარი, საკასო შესრულება შეადგენს 987 836 ლარს, ანუ გეგმის 75.59%-ს. ამ დარგში გაერთიანებულია სკოლამდელი აღზრდა და განათლების, ქედის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ წარმატებულ აბიტურიენტთა, ოქროსა და ვერცხლის მედალოსანობის კანდიდატ მოსწავლეთა და სტუდენტთა დახმარების, ა.ა.(ი)პ. ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების, ა.ა.(ი).პ ქედის სასპორტო სკოლის, ა.ა.(ი).პ ქედის სახელოვნებო სკოლის ხარჯები. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 18.15%-ს.

სოციალურ დაცვაზე დაგეგმილი იყო 1 003 168 ლარი, ფაქტიურად გახარჯულ იქნა 741 201 ლარი, რაც გეგმის 73.89%-ია. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 13.62%-ს. იგი მოიცავს სოციალურად დაუცველი ფენისათვის ყოველდღიური, ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფის, ვეტერანთა უკვდავყოფის, სარიტუალო მომსახურების, სადღესასწაულო დღეების ორგანიზება და დახმარების, ოთხ და მეტ შვილიან ბავშვთა ოჯახებზე (18 წლამდე ბავშვები) ერთჯერადი მატერიალური დახმარების, გაჭირვებულ ოჯახებში გარდაცვლილ პირთა დასაფლავებისთვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების, ჰემოდიალიზის პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა მგზავრობის ხელშეწყობის, სამედიცინო და სოციალური რებილიტაციის პროგრამაში ჩართულ ბავშვთა აბილიტაცია-რებილიტაციის კურსებზე მგზავრობის ხელშეწყობის, ძველი საცხოვრებელი სახლების მქონე ოჯახებზე ახალი საცხოვრებელი სახლით შეცვლის პროგრამის, შშმ პირთა მოვლის საჭიროებისათვის ფინანსური დახმარებით უზრუნველყოფის, 0-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვებზე სპეციალური სამკურნალო კვების პროდუქტების შესაძენად ფინანსური დახმარების, საქმიანობათა ცენტრი ქედაში უსაფრთხო გარემოსა და სიცოცხლის ხელშეწყობისათვის, სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ ოჯახებზე (ბინის ქირით უზრუნველყოფა) ფინანსური დახმარების, მარტოხელა სტატუსის მქონე პირებზე ფინანსური დახმარების, ქედის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშემწყობი სერვისების თანადაფინანსების, სტიქიისა და უბედური შემთხვევების შედეგათ დაზარალებული მოსახლეობის ერთჯერადი ფინანსური დახმარების ხარჯებს.

ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები ეკონომიკურ ჭრილში

ქედის მუნიციპალიტეტის 2025 წლის 3 თვის ბიუჯეტის გადასახდელებს ეკონომიკურ ჭრილში აქვს შემდეგი სახე:

№	დასახელება	2025 წლის გეგმა	**2025** წლის 3 თვე			
			გეგმა	საკასო შესრულება	შესრუ-ლების %	%-ლი წილი
1	შრომის ანაზღაურება	**8 481 490**	2 408 195	2 020 976	83,9%	35,37%
2	საქონელი და მომსახურება	**4 781 270**	1 170 650	996 710	85,1%	17,44%
3	პროცენტი	**8 500**	0	0	0,00%	0,00%
4	სუბსიდიები	**4 013 765**	978 900	762 531	77,9%	13,34%
5	გრანტები	**2 100**	0	0	0,00%	0,00%
6	სოციალური უზრუნველყოფა	**1 694 942**	532 242	406 823	76,4%	7,12%
7	სხვა ხარჯები	**2 848 609**	862 134	618 095	71,7%	10,82%
8	არაფინანსური აქტივები	**9 215 600**	936 200	909 116	97,1%	15,91%
9	ვალდებულებები	**28 000**	0	0	0,00%	0,00%
გადასახდელების ჯამი		**31 074 276**	**6 888 321**	**5 714 252**	**83,0%**	**0,0%**

შრომის ანაზღაურებაზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 2 020 976 ლარი, მისი ხვედრითი წილი მთლიან ასიგნებებში არის 35.37%;

საქონელზე და მომსახურებაზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 996 710 ლარი, მისი ხვედრითი წილი მთლიან მოცულობაში არის 17.44%;

სუბსიდიების სახით გაწეული ხარჯი შეადგენს 762 531 ლარს, მისი ხვედრითი წილი მთლიან მოცულობაში არის 13.34%;

სოციალურ უზრუნველყოფაზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 406 823 ლარი, მისი ხვედრითი წილი მთლიან მოცულობაში არის 7.12%;

სხვა ხარჯებზე გაიხარჯა 618 095 ლარი, მისი ხვედრითი წილი მთლიან მოცულობაში არის 10.82%;

არაფინანსური აქტივების ზრდამ შეადგინა 909 116 ლარი, მისი ხვედრითი წილი მთლიან მოცულობაში არის 15.91%;



ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები პროგრამულ ჭრილში

პროგრამულ ჭრილში ქედის მუნიციპალიტეტის 2025 წლის 3 თვის ბიუჯეტის ხარჯებს შემდეგი სახე აქვს:

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა	2025 წლის გეგმა	2025 წლის 3 თვე		
			გეგმა	საკასო შესრულება	შესრულ-ების %
1	**ქედის მუნიციპალიტეტი**	**31 074 276**	**6 888 321**	**5 714 252**	82,96%

01 00	**მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები**	**6 485 310**	**1 696 158**	**1 549 461**	91,35%
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	6 039 700	1 604 400	1 459 394	90,96%
01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები	445 610	91 758	90 067	98,16%
02 00	**ინფრასტრუქტურისა და მუნიციპალური კომუნალური სერვისების განვითარება**	**7 356 300**	**753 800**	**617 513**	81,92%
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	1 456 000	270 400	235 532	87,11%
02 02	საბაზისო კომუნალური ინფრასტრუქტურის და სერვისების განვითარება	1 992 900	332 300	286 427	86,20%
02 02 01	წყლის სიტემების რეაბილიტაცია და ახლის მშენებლობა	1 203 300	120 000	118 242	98,53%
02 02 02	შპს ქედის წყალკანალი	789 600	212 300	168 186	79,22%
02 03	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები	2 285 000	0	0	#DIV/0!
02 03 01	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების რეაბილიტაცია, დემონტაჟი	1 442 900	0	0	#DIV/0!
02 03 02	ნაპირსმაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	500 000	0	0	#DIV/0!
02 03 03	პარკების, სკვერების, ატრაქციონების, ბილბორდების, ქუჩებისა და დასახლებული ტერიტორიების კეთილმოწყობა და მოვლა შენახვა	342 100	0	0	#DIV/0!
02 04	მუნიციპალიტეტის განვითარების გეგმის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, სარეგისტრაციო, ზედამხედველობის და ექსპერტიზის ხარჯები	455 000	2 000	0	0,00%
02 05	სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა	13 000	0	0	#DIV/0!
02 06	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	0	0	0	#DIV/0!
02 07	საცხოვრებელ და არასაცხოვრებელ შენობა-ნაგებობებში ელექტრო მეურნეობის აღდგენა	15 000	5 000	3 000	60,00%
02 08	შპს ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი	569 400	144 100	92 554	64,23%
02 09	მთების ელექტროფიკაცია (გომის მთა)	570 000	0	0	#DIV/0!
03 00	**დასუფთავება და გარემოს დაცვა**	**2 011 600**	**521 800**	**441 910**	84,69%

03 01	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასუფთავებისა და გარემოს დაცვის სფეროში	2 011 600	521 800	441 910	84,69%
04 00	**განათლება**	**3 531 800**	**998 000**	**746 178**	74,77%
04 01	სკოლამდელი აღზრდა და განათლება	3 461 800	987 000	735 178	74,49%
04 02	ქედის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ წარმატებულ სტუდენტთა, ოქროსა და ვერცხლის მედალოსან მოსწავლეთა ხელშეწყობის პროგრამა	70 000	11 000	11 000	100,00%
05 00	**კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი**	**7 324 400**	**1 643 745**	**1 460 456**	88,85%
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	3 251 300	415 345	362 588	87,30%
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	4 073 100	1 228 400	1 097 868	89,37%
06 00	**ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**	**4 364 866**	**1 274 818**	**898 733**	70,50%
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	1 148 300	271 650	157 532	57,99%
06 02	სოციალური უზრუნველყოფა	3 216 566	1 003 168	741 201	73,89%



ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები პროგრამულ ჭრილში ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით დეტალურად მოცემულია დანართის (**დანართი №2**) სახით.

ადგილობრივი ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

მოქმედი საბიუჯეტო კანონმდებლობის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტში შეიქმნა სარეზერვო ფონდი 140 000 ათასი ლარის ოდენობით, რაც ბიუჯეტის დამტკიცებული გეგმიური მაჩვენებლის 0.45%-ს შეადგენს. სარეზერვო ფონდიდან სახსრები მიიმართებოდა იმ ღონისძიებების დასაფინანსებლად, რომელიც არ იყო გათვალისწინებული დამტკიცებულ ბიუჯეტში.

2025 წლის 3 თვეში სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრების მოცულობამ 95 390.48 ლარი შეადგინა, დეტალური ინფორმაცია ცხრილის (**დანართი №1**) სახით თან ერთვის ანგარიშს.

ქედის მუნიციპალიტეტის 2025 წლის 3 თვის ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების (**დანართი №2**) შესახებ ინფორმაცია დანართის სახით თან ერთვის ანგარიშს.

ქედის მუნიციპალიტეტის 2025 წლის კაპიტალური ტრანსფერის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების 3 თვის შესრულების (**დანართი №3**) შესახებ ინფორმაცია დანართის სახით თან ერთვის ანგარიშს.

ქედის მუნიციპალიტეტის 2025 წლის სპეციალური ფინანსური დახმარების ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების 3 თვის შესრულების (**დანართი №5**) შესახებ ინფორმაცია დანართის სახით თან ერთვის ანგარიშს.

ქედის მუნიციპალიტეტის 2025 წლის სპეციალური ფინანსური დახმარების (მთავრობის თავმჯდომარის სარეზერვო ფონდი) ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების 3 თვის შესრულების (**დანართი №4**) შესახებ ინფორმაცია დანართის სახით თან ერთვის ანგარიშს.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქედის მუნიციპალიტეტის მერია

პირველადი სტრუქტურული ერთეულის

შიდა აუდიტის სამსახურის

2024 წლის ანგარიში

დაბა ქედა

2025 წელი

1. შესავალი

წლიური ანგარიშის შედგენის საფუძველია' „შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლი, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 ნოემბრის #29 დადგენილებით დამტკიცებული „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის დებულება“.

2. მოკლე მიმოხილვა

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის შიდა აუდიტის სამსახური თავის საქმიანობას ახორციელებს „საქართველოს კონსტიტუციის", „შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 ნოემბრის #29 დადგენილებით დამტკიცებული „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის დებულებით“, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 ივლისის #1013 განკარგულებით დამტკიცებული „შიდა აუდიტორთა სახელმძღვანელო პრინციპებით“, საქართველოს მთავრობის 2016 წლის 26 დეკემბრის #593 განკარგულებით დამტკიცებული „შიდა აუდიტის მეთოდოლოგიით“, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 ივლისის #1015 განკარგულებით დამტკიცებული „შიდა აუდიტის სტანდარტებით“, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 ივლისის #1016 განკარგულებით დამტკიცებული „შიდა აუდიტორთა ეთიკის კოდექსით“ და სხვა სამართლებრივი აქტების საფუძველზე.

3. განხორციელებული ღონისძიებები

შიდა აუდიტის სამსახურმა 2024 წელს განახორციელა შემდეგი შიდა აუდიტორული შემოწმებები:

- შპს „ქედის კომუნალურსერვისი“-ს მიერ ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიღებული სახსრების მიზნობრივი ხარჯვის აუდიტი.
- ქედის მუნიციპალიტეტში გარე განათების ქსელის გაფართოვების აუდიტი (როგორც სოფლის მხარდაჭერის, ასევე მონაწილობითი ბიუჯეტის პროგრამის).
- ა.(ა.)ი.პ. „ქედის ისტორიული მუზეუმი“-ს მიერ ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიღებული სახსრების მიზნობრივი ხარჯვის აუდიტი
- ა.(ა.)ი.პ. „ქედის სახელოვნებო სკოლის“ მიერ ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიღებული სახსრების მიზნობრივი ხარჯვის აუდიტი.

შიდა აუდიტის მიერ ზემოთ დასახელებულ ობიექტებზე 2024 წელს გაცემული იქნა 14 რეკომენდაცია, რომლის შესრულება აყვანილი იქნა კონტროლზე. 2024

წელს გაცემული რეკომენდაციებიდან შესრულდა 10 რეკომენდაცია, ხოლო ამჟამად 4 რეკომენდაციის შესრულებაზე, კერძოდ:

1) შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვისი"-ზე გაცემული რეკომენდაცია, – "ორგანიზაციის ხელმძღვანელობამ მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურებთან შეთანხმებით მოამზადოს სპეც-ტექნიკის გამოყენების წესი ისე, რომ მოხდეს ადგილობრივი მოსახლეობის თანადაფინანსებით მომსახურება და ორგანიზაციის შემოსავლების გაზრდა".

2) შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვისი"-მა მოახდინოს გარე განათების ბოძების ინვენტარიზაცია, დანომრვა და მისი აღრიცხვა ნომრების მიხედვით.

3) ა.(ა.)ი.პ. „ქედის ისტორიული მუზეუმი"-მა უზრუნველყოს ადაპტირებული გარემო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის.

4) ა.(ა.)ი.პ. „ქედის სახელოვნებო სკოლა"-მ დაწესებულებაში აღსაზრდელის მიღება განახორციელოს ა.(ა.)ი.პ. „ქედის სახელოვნებო სკოლის" წესდების მე-9 მუხლის მე-4 ქვეპუნქტის შესაბამისად.

აღნიშნული რეკომენდაციების შესაბამისად ობიექტების მიერ მიმდინარეობს მუშაობა.

3.1. საშტატო ერთეულის ანალიზი

შიდა აუდიტორული შემოწმების განხორციელების პროცესში ჩართული იყო შიდა აუდიტის სამსახური, კერძოდ, პირველადი სტრუქტურული ერთეულის შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი და შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

3.2. დაუგეგმავი დავალებებისა და სხვა საკითხების ანალიზი

საანგარიშო პერიოდში შიდა აუდიტის სამსახურს შესწავლილი აქვს სხვადასხვა სახის საკითხები და მათზე გაცემულია შესაბამისი რეკომენდაციები, რომლებიც ეხებოდა მერიის და მასში შემავალი ორგანიზაციების მიერ განსახორციელებელ სახელმწიფო შესყიდვებს, მერიის მიზნობრივ პროგრამებთან (ქვეპროგრამებთან) დაკავშირებულ საკითხების სისტემურ, კომპლექსურ შესწავლასა და რისკის მართვას, მატერიალური ფასეულობების ხარჯვისა და გამოყენების კანონიერებას, მიზნობრიობის დაცვასა და ეფექტიანობის გაზრდის ხელშეწყობას და სხვა.

საანგარიშო პერიოდში შიდა აუდიტის მიერ განსაკუთრებულ კონტროლზე ავიყვანეთ დასუფთავების მოსაკრებელის გაწერისა და მისი ამოღების საქმე.

დასუფთავების მოსაკრებელი შემოღებულია ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 20 მარტის #39 დადგენილებით, რომლის შესაბამისად მუნიციპალიტეტის ეკონომიკისა და ინფრასტუქტურის განვითარების სამსახური ახდენს გადამხდელებთან ხელშეკრულებების გაფორმებასა და მასვე ეკისრება აღნიშნული მოსაკრებლის ამოღება. 2024 წელს დასუფთავების მოსაკრებლის გადასახადის გეგმა იყო 32000 ლარი, საიდანაც ამოღებული იქნა 18290 ლარი. უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ არ არის შემუშავებული ცალკეულ გადამხდელების მიერ მოსაკრებლის სრულად გადახდევინების მექანიზმი, რეკომენდირებულია 2025 წლისათვის აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ეკონომიკური განვითარების სამსახურის მიერ უფრო მეტი ყურადღება იქნეს ამ საკითხზე დათმობილი და გადამხდელმა დასუფთავების მოსაკრებლის გადასახადი გადაიხდოს ნებაყოფლობით და დროულად.

ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ ადგილობრივ გადასახადებში არ შემოსულა არცერთი ლარი რეკლამის განთავსებისათვის, მაშინ, როცა ინდივიდუალურ მეწარმეებს: მახუნცეთის, დ. ქედის, ზვარის, ცხმორისის ტერიტორიებზე აქვთ სხვადასხვა სახის რეკლამები განთავსებული. აღნიშნულზე მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს ეკონომიკური განვითარების და მერიის ზედამხედველობის სამსახურებმა.

ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების გაზრდის მიზნით რეკომენდირებულია დ. ქედის ტერიტორიაზე მოეწყოს ფასიანი ავტოპარკინგი, რომელიც ამავე დროს ხელს შეუწყობს ავტოტრანსპორტის მოწესრიგებულ მოძრაობას და დგომას.

ქონების აღრიცხვაში არის ნაკლოვანებები, თუნდაც იქედან გამომდინარე რომ დოლოგნის, დაბა ქედის #2, ვაიოს, ახოს, ნამლისევის, ოქტომბრის ბაგა-ბაღების შენობა ნაგებობები და მათზე დამაგრებული ნაკვეთები უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გადაცემული არ არის ა.(ა.)ი.პ. ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანებაზე. მაშინ, როცა დაიწყო ბაგა-ბაღების სტანდარტებთან მოთხოვნების ავტორიზაცია, მიმდინარე წელს უნდა დამთავრდეს დაბა ქედის პირველი ბაგა-ბაღის და დანდალოს ბაგა-ბაღის ავტორიზაცია, აღნიშნული პროცესი დანარჩენ ბაგა-ბაღებში უნდა გაგრძელდეს და მოთხოვნების შესაბამისად დამთავრდეს 2030 წლისათვის, ამიტომაც დროულად უნდა დამთავრდეს ბაგა-ბაღების გადაცემის საკითხის მოგვარება.

ასევე, დასარეგისტრირებელია ხარაულა-ჯალაბაშვილების, მახუნცეთის (ხითხითა) გულები-ხუნკუდის წყალსადენები, ცხმორისის საკანალიზაციო სისტემა. კიდევ მეტი, ცხმორისის საკანალიზაციო სისტემის ერთი ნაწილი ჯერ კიდევ სრულყოფილად ჩართული არ არის ქსელში.

ქედის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული მცირეფასიანი ინვენტარისა და სხვა მატერიალური ფასეულობების საინვენტარიზაციო კომისიის მიერ 2024 წლის ბოლოს ჩატარდა ინვენტარიზაცია, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010

წლის #605 ბრძანებით „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ჩატარების წესის“ შესაბამისად.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია მუნიციპალიტეტის მერიის ბრძანებით შექმნილმა საინვენტარიზაციო კომისიამ, მერიის ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების განყოფილებასთან ერთად დროულად დაასრულოს აღნიშნული საქმე, კერძოდ ინვენტარიზაციის შედეგები და მონაცემები დროულად მიაწოდოს მუნიციპალიტეტის მერიის ბრძანებით შექმნილ კომისიას, რომელმაც კანონის შესაბამისად უნდა უზრუნველყოს სასაქონლო მატერიალური მარაგების დროული ჩამოწერა.

2024 წელს მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის მიერ შემუშავებული და საკრებულოს სხდომაზე დამტკიცებული სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების პროგრამაზე გაიხარჯა 153407 ლარი, ხოლო კულტურული ღონისძიებების ორგანიზება, მხარდაჭერა და ხელშეწყობაზე გაიხარჯა 99619 ლარი. აღნიშნული თანხები მიზნობრივადაა გამოყენებული.

2024 წელს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ შემუშავებული და საკრებულოს მიერ დამტკიცებული იქნა მიზნობრივი პროგრამები, რომელთა ხარჯმა 2024 წელს შეადგინა შესაბამისად 5ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებაზე ღირებულებით 842286 ლარი და სოციალური უზრუნველყოფის 11 ღონისძიებაზე ღირებულებით 2051906 ლარი. ამჟამად შიდა აუდიტის სამსახურის დამტკიცებული სამუშაო გეგმის შესაბამისად მიმდინარეობს ქედის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიზნობრივი პროგრამების აუდიტი, რომლის შედეგებიც დამატებით გეცნობებათ.

ინფრასტრუქტურული ღონისძიებები

მერიის მიერ ინფრასტრუქტურული ღონისძიებებისათვის სულ 2024 წელს გათვალისწინებული იყო 6788550 ლარი, ხოლო ფაქტიურად შესრულებამ შეადგინა 5742852 ლარი, რაც 84,6%-ია.

ინფრასტრუქტურული ღონისძიების ფარგლებში შესრულებულია საავტომობილო გზების, ხიდების, შენობა ნაგებობების, წყლის სისტემის რეაბილიტაციის და სხვადასხვა კეთილმოწყობითი სამუშაოები.

შიდა აუდიტის სამსახურის მიერ 2024 წლის განმავლობაში შესწავლილ იქნა ფიზიკური და იურიდიული პირების წერილები, რომლებიც მოითხოვდნენ სხვადასხვა საკითხების მოწესრიგებას, ასე მაგალითად: ქედის მუნიციპალიტეტის მერიასთან დადებულ ხელშეკრულებებში ცვლილებების განხორციელებას, ხარჯთაღრიცხვაში ცვლილების შეტანას, ტექნიკური ხარვეზების შესწორებას. ყოველივე ამ საკითხებზე შიდა აუდიტის სამსახურის მიერ დროულად ჩატარდა მონიტორინგი და გაცემული იქნა სათანადო რეკომენდაციები.

შიდა აუდიტის მიერ განხორციელებული შემოწმებები გვაძლევს დასკვნის საფუძველს, რომ ქედის მუნიციპალიტეტისა და მისდამი დაქვემდებარებულ ორგანიზაციებში ფინანსური მდგომარეობა და ბიუჯეტიდან მასზე გამოყოფილი სახსრების ხარჯვა 2024 წელს განხორციელდა მიზნობრივად.

4. შიდა აუდიტის სუბიექტის საქმიანობის შედეგები

4.1 დაწესებულებისათვის გაწეული სარგებელი

შიდა აუდიტის სუბიექტის საქმიანობის სარგებლიანობა აისახება მუნიციპალიტეტის მერიის მმართველობის, რისკის მართვისა და შიდა კონტროლის პროცესების ეფექტიანობის ამაღლების ხელშეწყობაში. შიდა კონტროლის სისტემის ფუნქციონირების თაობაზე გაცემული ობიექტური რწმუნებით დახმარება გაეწია მენეჯმენტს და თანამშრომლებს დასახული მიზნებისა და ამოცანების მიღწევაში, ასევე პროდუქტიულობის გაუმჯობესებაში.

შიდა აუდიტის სუბიექტი აქტიურად თანამშრომლობს სახელმწიფო აუდიტის სამსახურთან და სხვა მაკონტროლებელ ორგანოებთან.

5. წინადადებები შიდა აუდიტის სუბიექტის განვითარების შესახებ

შიდა აუდიტის განვითარების მიზნით, მიზანშეწონილია პერიოდულად სასწავლო ტრენინგების ჩატარება ეფექტიანობისა და სისტემურ აუდიტში.

შიდა აუდიტის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსის მხრიდან ხორციელდება აუდიტის სუბიექტის საქმიანობის მუდმივი შეფასება. აღნიშნული შეფასება მოიცავს აუდიტის სუბიექტის დებულებასთან, სტანდარტებთან და შიდა აუდიტორთა ეთიკის კოდექსთან შესაბამისობას, ასევე შიდა აუდიტის საქმიანობის ეფექტურობისა და ეფექტიანობის გაუმჯობესებას.

წარმოგიდგენთ ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ბიუჯეტის პარამეტრებით გათვალისწინებულ სახსრებით დაფინანსებულ ღონისძიებების შესრულების მონიტორინგს, კერძოდ:

1) შპს „ქედის კომუნალურსერვისი"-ს მიერ ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიღებული სახსრების მიზნობრივი ხარჯვის აუდიტი

შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვისი"-ს შექმნისა და წესდების დამტკიცების სამართლებრივი საფუძველია - ქედის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 27 დეკემბრის №94. 94223614 ბრძანება.

წესდების თანახმად შ.პ.ს „ქედის კომუნალურსერვისი"-ს ძირითად ამოცანებსა და ფუნქციებს წარმოადგენს:

1. ა) ქუჩების, მოედნების, პარკებისა და სკვერების სანიტარული დასუფთავება;

ბ) დასახლებებში მრავალწლიანი ნარგავების განაშენიანებაზე ზრუნვა და მათი მოვლა-პატრონობა;

გ) ქუჩების, მოედნების, პარკების, სკვერების და ადმინისტრაციული ცენტრების და სოფლების გარე განათების სისტემის მოვლა პატრონობა და ექსპლუატაცია.

2.2. საზოგადოებას უფლება აქვს მოგების მიღების მიზნით განახორციელოს კანონით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობა, მიუხედავად, იმისა, არის თუ არა ეს საქმიანობა სადამფუძნებლო დოკუმენტებით გათვალისწინებული. ის საქმიანობა, რომელიც კანონმდებლობით შესაძლებელია მხოლოდ სპეციალური ლიცენზიის/ნებართვის საფუძველზე, დასაშვებია მხოლოდ შესაბამისი ლიცენზიის/ნებართვის მიღების მომენტიდან.

შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვისი"-ს 2021 წლის საწყისი ბიუჯეტი (არაფინანსური აქტივების ჩათვლით) განისაზღვრა 778900 ლარით, წლის განმავლობაში ორგანიზაციის ბიუჯეტი გაიზარდა და შეადგინა 859400 ლარი.

2021 წელს ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვის"-ს სულ ჩაერიცხა 859359,76 ლარი, ამასთან ორგანიზაციას წლის დასაწყისში ნაშთის სახით „საქართველოს ბანკი"-ს ანგარიშზე ერიცხებოდა 1687,18 ლარი, ხოლო „ლიბერთი ბანკი"-ს ანგარიშზე 66 ლარი, წლის განმავლობაში სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებული აქვს შემოსავალი 4137 ლარი, რითაც სულ ფინანსურმა სახსრებმა 2021 წელს შეადგინა 865249.94 ლარი, გაწეულმა ხარჯმა წლის განმავლობაში შეადგინა 851835.05 ლარი, 2021 წლის ბოლოს ორგანიზაციას საბანკო ანგარიშზე ნაშთის სახით

ფულადი სახსრები „საქართველოს ბანკი-ს ანგარიშზე დარჩა 9211,89 ლარი, ხოლო „ლიბერთი ბანკი“-ს ანგარიშზე 4203 ლარი.

მუხლობრივ ჭრილში 2021 წლის ბიუჯეტის შესრულება შემდეგნაირი სახით არის წარმოდგენილი:

შრომის ანაზღაურების მუხლით ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 240600 ლარის ასიგნება, საკასო შესრულებამ შეადგინა 240600 ლარი. კერძოდ:

ადმინისტრაციის თანამშრომლებს ხელფასის სახით წლის განმავლობაში 45 თანამშრომელს მიღებული აქვთ 231600 ლარის ანაზღაურება, ხოლო ჯილდოს სახით 9000 ლარი.

საქონელი და მომსახურეობის მუხლით გეგმით გათვალისწინებული იყო 468800 ლარი, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა კი 383382 ლარი, ანუ გეგმის 81.78% შეადგინა. კერძოდ :

_ 13 შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე გახარჯულია 41645.4 ლარი.

_ საკანცელარიო საქონლის შეძენამ 840.4 ლარი შეადგინა.

_ კომპიუტერული ტექნიკის შეძენაზე დაიხარჯა 250 ლარი.

_ საოფისე ინვენტარის შეძენაზე 1900 ლარი.

_ კავშირგაბმულობის მომსახურებაზე გაიხარჯა 2067,58 ლარი.

_ ელექტრო ენერგიის ხარჯმა 172138,77 ლარი შეადგინა.

_ ნარჩენების შეტანაზე გაიხარჯა 3610 ლარი.

_ შეძენილ იქნა ჯიპ ოპერატორი 660 ლარის ღირებულების.

_ მცირეფასიანი საქონელი 5564,8 ლარი.

_ რეცხვა ქიმწმენდის საშუალებები 4789 ლარი.

_ ელექტრო საქონელი 27757 ლარი.

_ უნიფორმის შეძენაზე გაიხარჯა 7208 ლარი.

_ ცხოველების გაუვნებელყოფისათვის გახარჯულია 7000 ლარი.

_ ავტომანქანის სათადარიგო ნაწილების შესყიდვაზე გაიხარჯა 65432,1 ლარი.

_ ტრანსპორტის საწვავის შეძენისათვის დახარჯულია 109855,29 ლარი.

_ სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურეობის მუხლით გაწეულია 2953 ლარი.

_ ჩატარებული ტენდერების ღირებულება 450 ლარი.

_ საბანკო მომსახურების ხარჯი 520,7 ლარი.

_ გარე განათების ახალ ქსელთან მიერთების ხარჯი 5800 ლარი.

_ მოგება ქონების (სალარო აპარატი) 790,86 ლარი.

არაფინანსური აქტივების ზრდის კუთხით გახარჯულია 149995 ლარი, რითაც შეძენილია ავტომანქანა.

შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვისი"-ს 2022 წლის საწყისი ბიუჯეტი (არაფინანსური აქტივების ჩათვლით) განისაზღვრა 1080000 ლარით, 2022 წლის განმავლობაში ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივ ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებების შედეგად პირველად განსაზღვრული თანხა 57200 ლარით გაიზარდა და 1137200 ლარი შეადგინა.

2022 წელს ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვის"-ს სულ ჩაერიცხა 1055412,55 ლარი, ორგანიზაციას წლის დასაწყისში ნაშთის სახით საქართველოს ბანკის ანგარიშზე გააჩნდა 9211,89 ლარი, ხოლო ლიბერთი ბანკის ანგარიშზე 4203 ლარი, რითაც სულ ფინანსურმა სახსრებმა 2022 წელს შეადგინა 1068827,44 ლარი, გაწეულმა ხარჯმა კი 1064524 ლარი, 2022 წლის ბოლოს ორგანიზაციას ნაშთის სახით ფულადი სახსრები საქართველოს ბანკში დარჩა 99,97 ლარი, ხოლო ლიბერთი ბანკის ანგარიშზე 6340,87 ლარი.

მუხლობრივ ჭრილში 2022 წლის ბიუჯეტის შესრულება შემდეგნაირი სახით არის წარმოდგენილი:

შრომის ანაზღაურების მუხლით ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 111620 ლარის ასიგნება, საკასო შესრულებამ შეადგინა 110802.09 ლარი. კერძოდ:

ადმინისტრაციის 11 თანამშრომელზე, (რომელიც შემცირდა წინა წელთან შედარებით 34 ერთეულით) ხელფასის სახით წლის განმავლობაში მიღებული აქვთ 86060 ლარის ანაზღაურება, ჯილდოს სახით მიღებული აქვთ 4466,1 ლარი, ხოლო საპენსიო შენატანი შეადგენს 4572,09 ლარს.

საქონელი და მომსახურეობის მუხლით გეგმით გათვალისწინებული იყო 581680 ლარი, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა კი 549941,11 ლარი, ანუ გეგმის 94,54% შეადგინა. კერძოდ:

_ 53 შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე გახარჯულია 277582,3 ლარი, რაც წინა 2021 წლის მაჩვენებელთან შედარებით შტატგარეშე მომუშავეთა რაოდენობა გაზრდილია 40 ერთეულით. ამასთან ჯილდოს სახით მიღებული აქვთ 16027,6 ლარი.

_ სამივლინებო ხარჯმა 422 ლარი შეადგინა.

_ ოფისის ხარჯმა შეძენამ 271936,81 ლარი შეადგინა. კერძოდ:

1) საკანცელარიო საქონელი 782,4 ლარი.
2) მცირეფასიანი საოფისე ტექნიკა 1420 ლარი.
3) კომპიუტერული ტექნიკა 1134 ლარი.
4) კატრიჯების შეძენა 200 ლარი.
5) გამათბობელი და გამაგრილებელი ტექნიკა 507 ლარი.
6) სხვა საოფისე ტექნიკა 43935 ლარი.
7) რეცხვა ქიმწმენდის ხარჯი 7216 ლარი, რაც წინა 2021 წლის მაჩვენებელზე 2427 ლარით მეტია.
8) საოფისე ტექნიკის მოვლა შენახვის ხარჯი 1917,5 ლარი.
9) კავშირგაბმულობის ხარჯი 3031,25 ლარი.
10) ელექტრო ენერგიის ხარჯი 211793,66 ლარი, რაც წინა წელთან შედარებით გაიზარდა 39655 ლარით, რაც გამოწვეულია გარე განათების ქსელის გაზრდით.

_ რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენა 7102

_ ტრანსპორტის ხარჯმა შეადგინა 275649 ლარი. კერძოდ:

1) საწვავისა და საპოხი მასალების ხარჯმა შეადგინა 189022,72 ლარი.
2) მიმდინარე რემონტის ხარჯმა შეადგინა 51791,9 ლარი.
3) მოვლა შენახვისა და სათადარიგო ნაწილების შეძენა 34834,9 ლარი.

_ სხვადასხვა მიმდინარე საქონლის და მომსახურების ხარჯმა შეადგინა 40792,8 ლარი.

_ სხვა ძირითადი საშუალების შესაძენად გაწეულ იქნა 80236,95 ლარი. აღნიშნული თანხის ნაწილით შეძენილია მაღალი გამავლობის ავტომანქანა 73000 ლარად.

შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვისი"-ს 2023 წლის საწყისი ბიუჯეტი (არაფინანსური აქტივების ჩათვლით) განისაზღვრა 1577500 ლარით, 2023 წლის განმავლობაში ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივ ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებების შედეგად პირველად განსაზღვრული თანხა 168650 ლარით შემცირდა და 1408850 ლარი შეადგინა.

2023 წელს ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვის"-ს სულ ჩაერიცხა 1299802.38 ლარი, ამასთან ორგანიზაციას წლის დასაწყისში ნაშთის სახით „საქართველოს ბანკი"-ს ანგარიშზე ერიცხებოდა 99.97 ლარი,

ხოლო „ლიბერთი ბანკი“-ს ანგარიშზე 13044,87 ლარი, რაც სამი წლის განმავლობაში სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალია, სულ ფინანსურმა სახსრებმა 2023 წელს შეადგინა 1312947,22 ლარი, გაწეულმა ხარჯმა წლის განმავლობაში შეადგინა 1299889,73 ლარი, 2023 წლის ბოლოს ორგანიზაციას საბანკო ანგარიშზე ნაშთის სახით ფულადი სახსრები „საქართველოს ბანკი-ს ანგარიშზე დარჩა 12.62 ლარი, ხოლო „ლიბერთი ბანკი“-ს ანგარიშზე 13044,87 ლარი.

მუხლობრივ ჭრილში 2023 წლის ბიუჯეტის შესრულება შემდეგნაირი სახით არის წარმოდგენილი:

შრომის ანაზღაურების მუხლით ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 161270 ლარის ასიგნება, საკასო შესრულებამ შეადგინა 157793.19 ლარი, რაც წინა 2022 წლის მაჩვენებელს 46991,1 ლარით აღემატება. კერძოდ:

14 ადმინისტრაციის თანამშრომლებს ხელფასის სახით წლის განმავლობაში მიღებული აქვთ 150209.5 ლარის ანაზღაურება, ხოლო ჯილდოს სახით 5850 ლარი და საპენსიო შენატანი შეადგენს 1733,69 ლარს.

საქონელისა და მომსახურეობის მუხლით გეგმით გათვალისწინებული იყო 1200780 ლარი, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა კი 751959,67 ლარი, ანუ გეგმის 62,62% შეადგინა. კერძოდ :

_ 58 შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე გახარჯულია 437252,72 ლარი, (წინა 2022 წლის მაჩვენებელთან შედარებით შტატგარეშე მომუშავეთა რაოდენობა გაიზარდა 5 ერთეულით) შესაბამისად წინა 2022 წლის მაჩვენებელს მათი ანაზღაურება 159670,42 ლარით აღემატება.

_ მივლინების ხარჯმა შეადგინა 60 ლარი.

_ საკანცელარიო საქონლის შეძენამ 750,9 ლარი შეადგინა.

_ კომპიუტერული ტექნიკის შეძენაზე დაიხარჯა 860 ლარი.

_ საოფისე ინვენტარის შეძენაზე დაიხარჯა 61626 ლარი. აქედან დიოდური ნათურების შესაძენად გათვალისწინებული იყო 31200 ლარის ხარჯი.

_ საოფისე ავეჯი 2600 ლარი.

_ სხვა საოფისე მცირეფასიანი ინვენტარი 7907,5 ლარი.

_ რეცხვისა და ქიმწმენდის ხარჯმა შეადგინა 7291,65 ლარი.

_ საოფისე ინვენტარისა და ტექნიკის მოვლა შენახვა 212 ლარი.

_ კავშირგაბმულობის მომსახურებაზე გაიხარჯა 3250,18 ლარი.

_ ელექტრო ენერგიის ხარჯი 230148,72 ლარი, რაც წინა 2022 წლის მაჩვენებელს 18355,06 ლარით აღემატება.

_ რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენა 9830 ლარი.

_ საწვავისა და საპოხი მასალების შეძენა 186339,2 ლარი.

_ მიმდინარე რემონტის ხარჯი 89494,26 ლარი.

_ ექსპლუატაციისა და სათადარიგო ნაწილების ხარჯი 24962 ლარი.

_ სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება 34409,36 ლარი.

_ ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული 45102,05 ლარი. (იხ. ცხრილი №1)

კაპიტალური ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული (ცხრილი №1)

#	დასახელება	ზომის ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება	შესრულება
1	პერსონალური კომპიუტერი	ცალი	5	1629.8	8,149.00
2	მინდვრის სახუჭი ბენზინზე	ცალი	1	2899	2,899.00
3	მაღალი წნევის სარეცხი აპარატი	ცალი	1	1111.25	1,111.25
4	გარე განათების ბოძი	ცალი	30	250	7,500.00
5	1100 ლიტრიანი პლასმასის ნაგავშემკრები კონტეინერი	ცალი	30	627.9	18,838.00
6	სათვალთვალო კამერები	ცალი	12	550.4	6,604.80
					45,102.05

გაფორმებული ხელშეკრულებების მონიტორინგი

მონიტორინგით დადგინდა, რომ 2022 წელს დაიდო 53 ხელშეკრულება რომლის სავარაუდო ღირებულებაც შეადგენდა 523683,25 ლარს, საიდანაც ფაქტიურმა შესრულებამ

შეადგინა 470830,46 ლარი, 2023 წელს შპს „ქედის კომუნალურ სერვისის-მიერ დაიდო სულ 51 ხელშეკრულება სხვადასხვა ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან 606809,01 ლარზე, საიდანაც ათვისებულია 451590,11 ლარი, თითოეული ხელშეკრულების ნომერი, ღირებულება, გადახდილი თანხის ოდენობა, მომწოდებლის დასახელება იხილეთ დანართ №2-ში.

რიგითი ნომერი	შესყიდული საქონლის ან მომსახურების დასახელება	შესყიდვის სამუალება NAT/SPA/GMR	შესყიდვის სავარაუდო ფასი	მიმწოდებელი (სახელწოდება)	ხელშეკრულება		დანართი№2
					№	თარიღი	ფაქტიურად გადახდილი თანხა
1	2	3	4 .	5	6	7	8
1	საწვავის შეძენა	CON210000492	139938	შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯია	1	27 12 2021	88908.00
2	კავშირგაბმულობა	CMR210012859	200	სს სილქნეტი	2	27 12 2021	130.80
3	საწვავის შეძენა	CON210000490	69372	შპს ,,სოკარ ჯორჯია	3	27 12 2021	86473.00
4	საწვავის შეძენა	CON210000489	16680	შპს რომპეტროლ საქართველო	4	28 12 2021	18153.00
5	ჯიპიეს მომსახურება	CMR220003528	720	შპს I GPS	5	29 12 2021	720.00
6	ნარჩენების გატანის საფასური	CMR220003534	4900	შპს CEBEP	6	30 12 2021	3320.00
7	გარე განათების მოწყობა	NAT210023908	9000	შპს დიმა 2020	7	10 01 2022	7752.81
8	რეცხვა ქიმწმენდის ხარჯი	CMR220029472	2560	შპს ბარაქა ჯგუფი	8	03 02 2022	772.00
9	საკანცელარიო ნივთები შესყიდვა	CMR220029476	1400	შპს E2010	9	03 02 2022	1038.40
10	ნიღბების შეძენა	CON210000481	552	შპს „ჰსპ ფარმა“	10	04.02 2022	552.00
11	ვულკანიზაციის მომსახურება	CMR220032903	600	შპს ჩოგა მოტორსი	11	09 02 2022	570.00

12	სამეურნეო საქონლის შეძენა	CMR220032905	4800	შპს ლუკა-2014	12	14 02 2022	4757.50
13	ელექტრო საქონლის შეძენა	NAT220001423	49700	შპს თორნიკე	13	16 02 2022	43476.00
14	რეცხვა ქიმწმენდის ხარჯი	CMR220035167	4910	შპს ნიუიმპექსი	14	16 02 2022	4429.00
15	ელექტრო ღუმელის და დისპენსერის შეძენა	CMR220035170	966	შპს „ტექნოჰაუს	15	17 02 2022	966.00
16	კომპიუტერული ნაწილებისა და აქსესუარების შესყიდვა	CMR220040687	1134	შპს „საბატა“	16	24 02 2022	1134.00
17	ბენზოხერხის,ბენზოცელის ნაწილების მომსახურება	CMR220040681	1600	შპს NEW TECHNICS	17	04 03 2022	1029.00
18	ავტო ტექნიკის შეკეთების ტექ მომსახურება	NAT220003430	22000	შპს „ბასმოტორსი“	18	09 03 2022	21671.40
19	ავტო მანქანის ტექნიკური დათვალიერების მომსახურება	CMR220042374	480	შ.პ.ს „დიაგნოსტიკა აჭარა“	19	11 03 2022	480.00
20	ძრავის ზეთის და ფილტრების შეძენა	CON210000540	2176.7	შპს „თეგეტა რითეილი	20	11 03 2022	1278.00
21	კომპიუტერის ნაწილების და აქსესუარების შესყიდვა	CMR220044819	2590	შპს კომპ+	21	17 03 2022	1575.00
22	პრინტერის შესყიდვის მომსახურება	CMR220044823	680	შპს „ივიჯი“	22	17 03 2022	680.00
23	ავტო ტექნიკის შეკეთების ტექ მომსახურება	NAT220004273	16000	შპს მიგა	23	17 03 2022	13980.00
24	დიდი ტვირთამწეობის საბურავების მომსახურება	CMR220046472	4800	შპს „არსუ“	24	21 03 2022	4800
25	მაწანწალა ცხოველების გაუნებელყოფა	NAT220003431	12000	შპს СЕВЕР	25	24 03 2022	10152.00
26	დიდი ტვირთ ამწეობის ავტომანქანის საბურავები	CON220000156	4964	შპს „თეგეტა რითეილი	26	21 04 2022	4964.00
27	რეცხვა ქიმწმენდის ხარჯი	CMR220069342	1800	შპს ბარაქა სავაჭრო ცენტრი	27	20 05 2022	1256.00
28	ძრავის ზეთის და ფილტრების შეძენა	CMR220075198	346	შპს ასპ-გრუპი	28	01 06 2022	346.00
29	ნარჩენების მართვის 3	CMR220075207	2500	ფ/პ ნოდარ	29	01 06 2022	2500.00

	წლიანი გეგმა			კონცელიძე			
30	თანამშრომლების გადამზადება	CMR220075210	1600	შ.პ.ს „პოლიტექსერვის ი	30	01 06 2022	1600
31	სათვალთვალო კამერის და მისი მოწყობილობის შესყიდვა	CMR220081071	4981.85	შპს „იტერა	31	14 06 2022	4981.85
32	ქიმიური სასუქი მინერალის შეძენა	CMR220081200	340	შპს მარინა ქედა	32	16 06 2022	340
33	საღებავები და დამხმარე მასალები	CMR220090610	3800	შპს „ძმები ბრ“	33	27 06 2022	3770
34	სპეც ტანსაცმელის შესყიდვა	CMR220102631	5074	შპს „ანგისა	34	06 07 2022	5074
35	დიდ ტვირთ ამწეობის ავტომანქანის საბურავები	CON220000189	3540	შპს „თეგეტა რითეილი	35	28 07 2022	3540
36	ფოლადის მილების შეძენა	CMR220102615	473.7	შპს „BS METAL GROUP	36	12 08 22	473.7
37	მცირე ტვირთ ამწეობის ავტომანქნის საბურავები	CON220000025	800	შპს „თეგეტა რითეილი	37	9 09 2022	800
38	მცირე ტვირთ ამწეობის ავტომანქნის საბურავები	CON220000022	792	შპს „თეგეტა რითეილი	38	9 09 2022	792
39	ავტო ტექნიკის შეკეთების ტექ მომსახურება	NAT220017610	20000	შპს „ბასმოტორსი	39	13 09 2022	18964
40	ავტო ტექნიკის შეკეთების ტექ მომსახურება	CON220000189	3540	შპს „თეგეტა რითეილი	40	6 10 2022	3540
41	სატრანსპორტო საშუალების აკუმულატორი	CON210000539	570	შპს „თეგეტა რითეილი	41	6 10 2022	570
42	ვულკანიზაციის მომსახურება	CMR220124192	400	შპს ჩოგა მოტორსი	42	11 10 2022	110
43	ავტომანქანის შეძენა	NAT220019876	73000	შპს „კავკასუს მოტორსი	43	17 10 2022	73000
44	ხის გადაბელვის მომსახურება	CMR220127493	1250	ფ/პ ნაზიმ ზოიძე	44	17 10 2022	1250
45	კვების ბლოკის შეძენა	CMR220133622	100	შპს „მეგა ელექტრონიქსი 2011	45	26 10 2022	100

46	სატრანსპორტო საშუალების აკუმულატორი	CON210000539,	818	შპს „თეგეტა რითეილი“	46	03 11 2022	818
47	დიდი ტვირთამწეობის საბურავების მომსახურება	CON220000157	2600	შპს „თეგეტა რითეილი“	47	03 11 2022	2600
48	დიდი ტვირთამწეობის საბურავების მომსახურება	CON220000158	5692	შპს „თეგეტა რითეილი“	48		5692
49	ძრავის ზეთის და ფილტრების შეძენა	CMR220146774	471	შპს ასპ-გრუპი	49	28 11 2022	471
50	სატრანსპოტო საშუალების ტექნიკური მომსახურება	CMR220146780	11438	შპს,, კავკასუს მოტორსი“	50	28 11 2022	11438
51	წყალგაუმტარი ფეხსაცმელების შეძენა	CMR220148686	2028	შპს „სოლიდ	51	01 12 2022	2028
52	მცირე ტვირთ ამწეობის ავტომანქნის საბურავები	CMR220153292	900	შპს „თერა მოტორსის	52	08 12 2022	900
53	სატრანსპორტო საშუალების აკუმულატორი	CON210000539	101	შპს „თეგეტა რითეილი	53		101
	ჯამი		523683.25				470830.46

ორგანიზაციის მიერ საინვენტარიზაციო საქმიანობის განხორციელების მონიტორინგი

შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვისი“-ს დირექტორის 2023 წლის 11 ივლისს #24.94233201 ბრძანებით შექმნილია საინვენტარიზაციო კომისია ხუთი კაცის შემადგენლობით.

2023 წლის დეკემბრის მდგომარეობით საინვენტარიზაციო კომისიის მიერ შექმნილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვის“-ს აქვს საწესდებო კაპიტალი სულ 968041 ლარი, საიდანაც 631833.6 ლარის სატრანსპორტო საშუალება, 1020 ლარის მიწის ნაკვეთი, 53776.8 ლარის შენობა-ნაგებობა, 257717.2 ლარის მოწყობილობა, 23693.38 ლარის საოფისე ინვენტარი.

შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვისი“-ს ბალანსზე რიცხული 1500 კვადრატული მეტრი მიწის ფართი და მასზე დამაგრებული სადურგლო საამქრო მდებარეობს ყოფილი ქედის სასტუმროს მიმდებარე ტერიტორიაზე. სადურგლო საამქროს გამოყენება ხდება ფიზიკური პირების მიერ, რომლებთანაც არავითარი ხელშეკრულება შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვისი“-ს გაფორმებული არ აქვს.

შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვისი“-ს დირექტორის 2023 წლის იანვარს #01-02/3 ბრძანებით შექმნილია დაზიანებული საქონლის ჩამომწერი კომისია, რომლის მეშვეობითაც ჩამოიწერა 13512.12 ლარის ღირებულების გამოუყენებელი და დაზიანებული საქონელი, მაგრამ არაა შედგენილი აქტი გამოსაყენებლად უვარგის მატერიალურ მარაგებზე, რომელშიც მითითებული უნდა იყოს ექსპლუატაციაში ყოფნის დრო, გაცვეთის მიზეზი, სამეურნეო საჭიროებისათვის შემდგომში მათი გამოყენების შესაძლებლობები და სხვა, ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ორგანიზაციაში ინვენტარი არაა დანომრილი.

შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვისი“ თავის საკუთრებაში არსებულ ქონებას უნდა იყენებდეს ეფექტურად თავისი ინტერესებიდან გამომდინარე და უნდა მიიღოს დამატებითი შემოსავლები, ხოლო გამოუყენებელი ან უფუნქციოდ დარჩენილ აქტივები მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გასხვისდეს.

რეკომენდაცია:

№1 -შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვის“-მა გამოუყენებელი სადურგლო საამქრო კანონმდებლობის დაცვით დაუბრუნოს დამფუძნებელს ქედის მუნიციპალიტეტის მერიას ან გაქირავების გზით მიიღოს დამატებითი შემოსავალი.

№2 _ არსებული ინვენტარი დაინომროს და ჩაბარდეს პასუხისმგებელ პირებს.

ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა

და მოვლა შენახვის მონიტორინგი

2022 წელს სათადარიგო ნაწილების შეძენისათვის დახარჯულია 72223,1 ლარი, ხოლო საწვავის შეძენაზე 189584,45 ლარი.

შემოწმების შედეგად ჩანს, რომ ყოველთვიურად საშუალოდ იხარჯება 3850 ლიტრი საწვავი, მონაცემები იხილეთ დანართ №3-ში.

დანართ №3-ში.

რიგითი ნომერი	ა/მანქანის მარკა/მოდელი	სახელმწიფო ნომერი	ავტომანქანით მოსარგებლე პირი (სახელი გვარი)	დამტკიცებული ლიმიტი (ლიტრი)	ფაქტობრივი ხარჯი (ლიტრი)	გახარჯული საწვავის ღირებულება	სარემონტო სამუშაოებისათვის გაწეული ხარჯი (ლარი)	სულ ხარჯი საწვავის და რემონტის ხარჯების გათვალიწინებით
1	2	3	4	5	6	7	8	9
2	kamazi	XX-912-XY	გურამ	1700	4189	15538.9	4123	19661.9

			ბოლქვაძე					
3	ბელარუსი-1222	BS-017	ზვიად ჯაბნიძე		3835	12871.74	1515.7	14387.44
4	ექსკავატორი-MST	BS-095-S	მერაბ ჯაბნიძე		12302	44433.17	39666	84099.17
5	პეჟო (ამწეკალათა)	GF-811_GG	ვალერი გოგიტიძე	200	1293	4017.2	620	4637.2
6	ford-tranzit	UY-858-YU	ელგუჯა ბაჯელიძე	150	1800	6603	2139.8	8742.8
7	MANI(ნაგავმზიდი)	QQ-836-DD	ნოდარ ბერიძე	2000	13336.79	49768	10810	60578
8	MERSEDES-BENZ(ნაგავმზიდი)	UU-797-PP	მალხაზ ფარტენაძე	2000	8181.92	29055.78	9995	39050.78
9	FOTONI (ამწეკალათი)	WW-441-XW	ამირან გათენაძე	300	2842.64	9292.47	817	10109.47
10	ჰონდა CRV	FH-878-HF	სილოვან ბერიძე	500	5449.33	18004.19	2536.6	20540.76
				3850	53229.68	189584.45	72223.1	261807.52

2023 წელს სათადარიგო ნაწილების შეძენისათვის და სარემონტო სამუშაოებისათვის დახარჯულია 114456,26 ლარი, რაც წინა წლის მაჩვენებელს აღემატება 42233,16ლარით, ხოლო საწვავის შეძენაზე 186339,2 ლარი, რაც წინა წლის მაჩვენებელზე ნაკლებია 3245,25 ლარით.

ორ ავტომანქანაზე 1. MERSEDES BENS UU-797-PP-ზე 2. ნაგავმზიდი MANI QQ-836-DD-ზე დამონტაჟებულია ჯიპიარესი და ნომრიანი პლასტიკური ბარათი, რომლითაც კონტროლდება გადაადგილების მარშუტი და საწვავის ჩასხმის ოდენობა.

ორ ავტომანქანაზე FORDI სახ. ნომ. UY858YU -ზე და HONDA სახ. ნომრით FH878HF-ს ავტომანქანაზე დამონტაჟებულია აგაი სისტემა, რომლითაც კონტროლდება საწვავის ლიმიტით ჩასხმის ოდენობა, ხოლო დანარჩენ ავტომანქანებზე საწვავის ჩასხმა ხდება უნომრო პლასტიკური ბარათით, რაც რისკის შემცველია.

შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვისი"-ს ხელმძღვანელობას თავისი წესდებიდან გამომდინარე უფლება აქვს მოგების მიღების მიზნით განახორციელოს კანონით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობა მიუხედავათ იმისა, არის თუ არა ეს საქმიანობა

სადამფუძნებლო დოკუმენტებით გათვალისწინებული. აღნიშნულის გათვალისწინებით შესაძლებელია პარტნიორთან შეთანხმებით ორგანიზაციამ მიიღოს დამატებითი შემოსავლები.

შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვისი"-ს ბოლო სამი წლის განმავლობაში ტექნიკის გაქირავებით მიღებული აქვს მხოლოდ 13044,87 ლარი, რომელიც ლიბერთი ბანკის ანგარიშზე ნაშთის სახით არის გამოუყენებელი. საჭიროა პარტნიორთან შეთანხმებით მისი მიზნობრივად გამოყენება

შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვისი"-ს მიერ 2019 წელს გაკეთებულია სპეცტექნიკის საიჯარო ღირებულების დასკვნა, რომლითაც განსაზღვრულია ტრაქტორისა და ექსკავატორის საწყისი საიჯარო ღირებულება დღის, თვისა და წლის მიხედვით. 2024 წლისათვის ტექნიკის მომსახურების ბაზარზე შეცვლილია ფასები, რაც საჭიროებს შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვისი"-ს მიერ განახლებული მოძრავი ქონების საწყისი საიჯარო ღირებულების დასკვნის მომზადებას შესაბამისი ლიცენზირებული ორგანიზაციის მიერ.

შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვისი"-ს მიერ ბოლო სამი წლის განმავლობაში ტექნიკის გაქირავებით მიღებული შემოსავალი 13044,87 ლარი იყო, რაც ძალიან მცირეა, მაშინ, როცა არსებულ ტექნიკის მომსახურებაზე მოთხოვნა მაღალია ბაზარზე და შეიძლება წლიურად სოლიდური შემოსავლების მიღება, ამიტომ ორგანიზაციამ უნდა იზრუნოს სხვადასხვა მექანიზმების საშუალებით გაზარდოს ეკონომიკური საქმიანობიდან შემოსავლები.

შიდა აუდიტის მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ ტექნიკის გამოყენება მოხდეს თანადაფინანსების გზით, რის შედეგადაც შპს „ქედის კომუნალურსერვის" გაეზრდება მისი შემოსავლები, ამასთან დაკავშირებით საჭიროა შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვის"-ის ხელმძღვანელობისა და მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურების მიერ შემუშავებული იქნას ერთობლივი განახლებული წესი ტრაქტორისა და ავტომანქანის გამოყენებისათვის.

რეკომენდაცია :

№3 -შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვის"-ს კუთვნილ სპეც-ტექნიკაზე 2025 წლის 01 იანვრამდე დამონტაჟებული იქნას „ჯიპიარესი"-ს სისტემა.

№4 -ორგანიზაციის ხელმძღვანელობამ მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურებთან შეთანხმებით მოამზადოს სპეც-ტექნიკის გამოყენების წესი ისე, რომ მოხდეს ადგილობრივი მოსახლეობის თანადაფინანსებით მომსახურება და ორგანიზაციის შემოსავლების გაზრდა.

ბიუჯეტის თანხების სხვადასხვა დანიშნულებით გამოყენების მონიტორინგი

ა) 2022-2023 წლების განმავლობაში რეცხვის, ქიმწმენდისა და სანიტარული საგნების შეძენაზე გაწეულია შესაბამისად 7216-7289 ლარის ხარჯი, თუმცა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საპირფარეშოებში აქსესუარების ნაკლებობა შეინიშნება და ზოგიერთ შემთხვევაში საპირფარეშოები მოუწესრიგებელი და დაულაგებელიც კი იყო. მაშინ, როცა 14 საპირფარეშოს ყავს დამლაგებელი და ყოველთვიურად ღებულობენ ხელფასს დამტკიცებული საშტატო ნუსხის შესაბამისად.

ბ) ცხოველების გაუვნებელყოფისათვის 2022-2023 წლებში დაიხარჯა 11520-19800 ლარი, მაშინ როცა რაიონის მთელ ტერიტორიაზე კვლავ შეინიშნება მაწანწალა ძაღლებისა და კატების რაოდენობის ზრდა, აღნიშნული მიმართულება საჭიროებს ცხოველების უფლებების დაცვის ფონზე საზოგადოებისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფას.

გ) 2022 წელს გარე განათებისათვის ქსელის მოვლა შენახვისათვის დაიხარჯა 43476 ლარი, ხოლო 2023 წელს 61526.2 ლარი შეადგინა.

შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვისი"-ს მიერ განხორციელებული ნებისმიერი საქმიანობა ორიენტირებული უნდა იყოს სოციალური და ეკონომიკური ეფექტის მოხდენაზე, რაც უნდა ხდებოდეს ხარჯ-ეფექტურობის პრინციპის გათვალისწინებით.

<u>რეკომენდაცია:</u>

№5 -მკაცრ კონტროლზე აიყვანოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სანიტარული კვანძების მოწესრიგების საქმე.

№6 -მიიღოს ყველა ზომა ცხოველების გაუვნებელყოფისათვის და მუშაობა ისე წარმართოს, რომ მინიმუმამდე შეამციროს მაწანწალა (ძაღლები, კატები) ცხოველების რაოდენობა.

2) ქედის მუნიციპალიტეტში გარე განათების ქსელის გაფართოვების აუდიტი

(როგორც სოფლის მხარდაჭერის, ასევე მონაწილობითი ბიუჯეტის პროგრამის)

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის შექმნისა და დებულების დამტკიცების სამართლებრივი

საფუძველია - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №34 დადგენილება.

დებულების თანახმად ქედის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური დადგენილი წესის შესაბამისად უზრუნველყოფს სხვადასხვა საქმიანობების წარმართვას, მათ შორის:

- მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ურბანული განვითარების დაგეგმვას.

- მუნიციპალიტეტის დაკვეთით განხორციელებული ობიექტების დაპროექტებისა და მშენებლობის კოორდინაციას;

- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობის ზედამხედველობას;

- არქიტექტურულ-სამშენებლო სამართალდარღვევათა პრევენციასა და აღკვეთას;

- მენაშენეებისათვის ყველა სახის მშენებლობაზე, რეკონსტრუქციაზე, კაპიტალურ შეკეთებაზე (რემონტზე), რესტავრაციაზე, ტერიტორიების კეთილმოწყობაზე, საინჟინრო ნაგებობებისა და კომუნალური ობიექტების დაპროექტებაზე შესაბამისი დასკვნების მომზადებას;

- მუნიციპალური ინფრასტრუქტურის – ადგილობრივი მნიშვნელობის გზების, ხიდების, გარე განათების, სანიაღვრე მეურნეობის, მუნიციპალიტეტის მერიაში არსებული კომუნიკაციების შექმნის, რეაბილიტაციისა და განვითარების დაგეგმვას, შესაბამისი პროგრამებისა და პროექტების მომზადებას, მათი განხორციელების კოორდინაციას;

- მუნიციპალიტეტის დასახლებათა ტერიტორიების კეთილმოწყობის დაგეგმვას, შესაბამისი პროგრამებისა და პროექტების მომზადებას, მათი განხორციელების უზრუნველყოფას;

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური წარმოადგენს ქედის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულს, რომელიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მუნიციპალური პროგრამების შემუშავებასა და განვითარებას, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კეთილმოწყობის სამუშაოთა დაგეგმვას, ინფრასტრუქტურული პროექტების მომზადებასა და მათ განხორციელებას, საინვესტიციო პოლიტიკის განსაზღვრას, ადგილობრივი შესყიდვების განხორციელებისათვის წინადადებების მომზადებას, მუნიციპალიტეტის ქონების მართვის, სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება-დამუშავებას.

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის შექმნისა და დებულების დამტკიცების სამართლებრივი საფუძველია - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №31 დადგენილება.

დებულების თანახმად ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური დადგენილი წესის შესაბამისად უზრუნველყოფს სხვადასხვა საქმიანობების წარმართვას, მათ შორის:

- მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიზნობრივ პროგრამათა შემუშავებაში მონაწილეობა და მისი განხორციელების კორდინაცია.

- უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ბუნებრივი და მიწის რესურსების აღრიცხვა, მართვა, მათი რაციონალური გამოყენება.

- მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან მიზნობრივი დაფინანსების მისაღებად განკუთვნილი პროგრამებისა და პროექტების ეკონომიკური შეფასება.

- მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის - ადგილობრივი მნიშვნელობის გზების, ხიდების, გარე განათების, სანიაღვრე მეურნეობის, მუნიციპალიტეტის მერიაში არსებული კომუნიკაციების შექმნის, რეაბილიტაციისა და განვითარების დაგეგმვა, შესაბამისი პროგრამებისა და პროექტების მომზადება, მათ განხორციელებაში მონაწილეობა.

- უზრუნველყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სახელმწიფო შესყიდვების განხორციელება.

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური უზრუნველყოფს მონაწილეობითი ბიუჯეტისა და სოფლის პროგრამით განსაზღვრული გარე განათების ქსელის გაფართოების სამუშაოების პროექტის მომზადებას და შესრულებული სამუშაოების ზედამხედველობას.

ქედის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების სამსახური გარე განათების ქსელის მოწყობისთვის უზრუნველყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებას.

ქედის მუნიციპალიტეტის მერია გარე განათების ქსელის სამუშაოების დასრულების შემდეგ შპს "ქედოს კომუნალურ სერვის" გადასცემს გარე განათების ქსელს მოვლა შენახვისათვის. ამასთან მიზანშეწონილად მიგვაჩნია გარე განათების ბოძების შესყიდვისას სატენდერო წინადადებებში გათვალისწინებული იქნას ბოძების დანომრვა.

ქედის მუნიციპალიტეტში 2022-2023 წლებში მონაწილეობითი ბიუჯეტისა და სოფლის პროგრამით გათვალისწინებული გარე განათების ქსელის პროგრამების შესრულების მდგომარეობის მონიტორინგი.

2019 წლის 5 დეკემბრის ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №9 დადგენილებით დამტკიცებულია ქედის მუნიციპალიტეტის "მონაწილეობითი ბიუჯეტის საბჭოს შექმნისა და საქმისწარმოების წესი". ასევე 2022 წლის 28 დეკემბერს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №გ-95. 95223623 განკარგულებით დამტკიცდა "ქედის მუნიციპალიტეტის კომუნიკაციის სტრატეგიის, ქედის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის კომუნიკაციის სტრატეგიის დოკუმენტისა და სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ"

აღნიშნული განკარგულებით „მონაწილეობითი ბიუჯეტის საბჭოს" მიზანია ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ფორმირებისას ჩართული იქნას სამოქალაქო ინიციატივები, მომავალი გეგმების განსაზღვრისას გათვალისწინებული იქნას საზოგადოებრივი ინტერესები, მიეცეს ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეებს, საინიციატივო ჯგუფებს და იურიდიულ პირებს შესაძლებლობა, თვითონ შეიმუშაონ და განსაზღვრონ კონკრეტულ დასახლებაში, უბანში არსებული პრიორიტეტული პროექტები.

მონაწილეობითი ბიუჯეტის განხორციელება მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

ა) საინფორმაციო კამპანია;

ბ) პროექტების შემუშავება და წარდგენა;

გ) პროექტების ვერიფიკაცია;

დ)მონაწილეობითი ბიუჯეტის საპროექტო ინიციატივაზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მიზნით ფარული კენჭისყრის პროცედურა;

ე) ადგილობრივ ბიუჯეტში ასახვა;

ვ) პროექტის განხორციელება, შეფასება და მონიტორინგი;

მონაწილეობითი ბიუჯეტს, პრაქტიკაში გამოიყენებენ, როგორც (თანამონაწილეობითი ბიუჯეტირება), რომელიც ხელს უწყობს ინკლუზიურ დემოკრატიას, იწვევს საჯარო სექტორის მოდერნიზაციას, ხელისუფლების აღმასრულებელი შტოს საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულების გაზრდას და წარმოადგენს მასსა და მოსახლეობას შორის დემოკრატიულ დიალოგსა და გადაწყვეტილების მიღების ეფექტიან პროცესს.

მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო (მერია) მონაწილეობით ბიუჯეტირების პროცესში ძირითადად ახორციელებს შემდეგ საქმიანობას:

1) უზრუნველყოფს პროცესების საინფორმაციო, საექსპერტო და ტექნიკურ მხარდაჭერას. ჩართულია მუნიციპალიტეტის მონაწილეობით ბიუჯეტის საბჭოს

შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური მხარდაჭერით, მათ შორის: შენობებით, სტენოგრამის წარმოებით, ხმის აპარატურისა და
საკომუნიკაციო საშუალებებით.

2) უზრუნველყოფს სახალხო ასამბლეების, რეგიონალური და თემატური ფორუმების, მონაწილეობითი ბიუჯეტის საბჭოს წევრების, მუნიციპალიტეტის სტრუქტურული ერთეულებისა და მისადმი დაქვემდებარებულ დაწესებულებებს შორის ეფექტიან კომუნიკაციასა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობას.

მონაწილეობითი ბიუჯეტის საბჭოს შექმნისა და საქმისწარმოების წესის შესაბამისად საპროექტო წინადადებების წარდგენა შესაძლებელია საბიუჯეტო წლის პირველი აგვისტოდან პირველ სექტემბრამდე. საბჭო გამოავლენს ვერიფიცირებულ პროექტებს საბიუჯეტო წლის პირველი სექტემბრიდან პირველ ოქტომბრამდე. რის შემდეგაც საბჭო არაუგვიანეს 1 ოქტომბრისა, მერს წარუდგენს გადაწყვეტილებას მომავალი წლის ადგილობრივ ბიუჯეტში გათვალისწინების მიზნით, მოქალაქეების მიერ შერჩეული საპროექტო წინადადებების ნუსხის შესაბამისად. აღნიშნულიდან გამომდინარე მონაწილეობითი ბიუჯეტი იდეაში გულისხმობს შერჩეული იდეების გათვალისწინებას მომავალი წლის ბიუჯეტში, ხოლო 2022 წლის ბიუჯეტი დაგეგმვაც და შესრულების განხორციელებაც იწარმოა 2022 წელს, რაც აღნიშნული წესის დარღვევაა, მაგრამ 2023 წელს აღნიშნული პრობლემა მოგვარდა წესის შესაბამისად, კერძოდ: მონაწილეობითი ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების შერჩევა მოხდა 2023 წელს, რაც გათვალისწინებულ იქნა 2024 წლის ბიუჯეტში.

ქედის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტში მონაწილეობითი ბიუჯეტის მუხლით გათვალისწინებული იყო 1500000 ლარი, საიდანაც თანხები გადანაწილებული იყო ადმინისტრაციულ ერთეულებზე.

2022 წლის 29 ივლისს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №გ-95.95222104 განკარგულებით დამტკიცდა ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის ფარგლებში 2022 წლის განსახორციელებელი ღონისძიებათა ნუსხა, საიდანაც შერჩეული პროექტების 43,3 პროცენტი გარე განათების ქსელის მოწყობას ეხებოდა, რაც 649889 ლარი შეადგინა. 2022 წელს გარე განათების ქსელის მოწყობაზე განხორციელდა პროექტები, რომელზეც გაიხარჯა 466599.94 ლარი.

2022 წელს ქედის მუნიციპალიტეტში გარე განათების ქსელის გაფართოვების მდგომარეობის შესახებ მონაცემები
მონაწილეობითი ბიუჯეტი

№	შესასრულებელი სამუშაოს დასახელება	საპროექტო ღირებულება	სახელშეკრულებო თანხა ლარი	შესყიდვის ნომერი	ტენდერში გამარჯვებული	ხელშეკრულების N	ჩარიცხული თანხა საბოლოო შესრულე

		ლარი			ორგანიზაცია		ბა (ლარი)
1	მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამით გათვალისწინებული, ქედის მუნიციპალიტეტის სოფლებში გარე განათების მოწყობა 9 სოფლისათვის.	176614	126988.09	NAT220013147	შპს მშენებელი	ხელშეკრულება № 132 12.08.2022 წ	123289.05
2	მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამით გათვალისწინებული, ქედის მუნიციპალიტეტის სოფლებში გარე განათების მოწყობა 7 სოფლისათვის.	139012	102799.37	NAT220013148	შპს მშენებელი	ხელშეკრულება № 133 12.08.2022 წ	99804.96
3	მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამით გათვალისწინებული, ქედის მუნიციპალიტეტის სოფლებში გარე განათების მოწყობა 8 სოფლისათვის.	168286	118060.54	NAT220013149	შპს მშენებელი	ხელშეკრულება № 134 12.08.2022 წ	114594
4	მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამით გათვალისწინებული, ქედის მუნიციპალიტეტის სოფლებში გარე განათების მოწყობა 10 სოფლისათვის.	165977	132779.29	NAT220013151	ინდ. მეწარმე ზებურ აბულაძე	ხელშეკრულება № 135 12.08.2022 წ	128911.93
		649889	480627.29				466599.94

2023 წლის ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მონაწილეობითი ბიუჯეტის მუხლით გათვალისწინებული იყო ასევე 1500000 ლარი.

2023 წელს დასრულდა 2022 წელს გამოცხადებული ხელშეკრულებები, საიდანაც გარე განათების ქსელის მოწყობაზე გაიხარჯა 145748,94 ლარი.

2023 წელს ქედის მუნიციპალიტეტში გარე განათების ქსელის გაფართოვების მდგომარეობის შესახებ მონაცემები
მონაწილეობითი ბიუჯეტი

№	შესასრულებელი სამუშაოს დასახელება	საპროექტო ღირებულება ლარი	სახელშეკრულებო თანხა ლარი	შესყიდვის ნომერი	ტენდერში გამარჯვებული ორგანიზაცია	ხელშეკრულების N	ჩარიცხული თანხა საბოლოო შესრულება (ლარი)

1	მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამით გათვალისწინებული, ქედის მუნიციპალიტეტის სოფლებში გარე განათების მოწყობა 17 სოფლისათვის.	98191	68992.62	NAT22001 8585	შპს თონი	ხელშეკრულება № 167 18.10.2022 წ	66983.13
2	მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამით გათვალისწინებული, ქედის მუნიციპალიტეტის სოფლებში გარე განათების მოწყობა 15 სოფლისათვის.	81129	81128.79	NAT22001 8586	შპს მშენებელი	ხელშეკრულება № 166 17.10.2022 წ	78765.81
	ჯამი						145748.94

2022 წელს სოფლის მხარდაჭერის პროგრამაზე სულ გათვალისწინებული იყო 750000 ლარი, საიდანაც გარე განათების ქსელის მოწყობაზე ათვისებამ შეადგინა 269443.8 ლარი.

2022 წელს ქედის მუნიციპალიტეტში გარე განათების ქსელის გაფართოვების მდგომარეობის შესახებ მონაცემები (სოფლის მხარდაჭერის პროგრამა და მონაწილეობითი ბიუჯეტი)

№	შესასრულებელი სამუშაოს დასახელება	საპროექტო ღირებულება ლარი	სახელშეკრულებო თანხა ლარი	შესყიდვის ნომერი	ტენდერში გამარჯვებული ორგანიზაცია	ხელშეკრულების N	ჩარიცხული თანხა საბოლოო შესრულება (ლარი)
1	სოფლის მხარდაჭერის პროგრამოთ გათვალისწინებული ქედის მუნიციპალიტეტის სოფლებში გარე-განათების მოწყობა 16 სოფლისათვის.	157970	133618	NAT22 000757 3	შპს მშენებელი -5	ხელშეკრულება № 103 31.05.2022 წ	129726.05
2	სოფლის მხარდაჭერის პროგრამოთ გათვალისწინებული ქედის მუნიციპალიტეტის სოფლებში გარე-განათების მოწყობა 18 სოფლისათვის.	182972	143909.28	NAT22 000757 5	შპს გჯ 2019	ხელშეკრულება № 104 31.05.2022 წ	139717.75
		340942	277527.28				269443.8

2023 წელს სოფლის მხარდაჭერის პროგრამაზე სულ გათვალისწინებული იყო 750000 ლარი, საიდანაც ათვისებამ გარე განათების მიმართულებით შეადგინა 399237,6 ლარი.

2023 წელს ქედის მუნიციპალიტეტში გარე განათების ქსელის გაფართოვების მდგომარეობის შესახებ მონაცემები (სოფლის მხარდაჭერის პროგრამა და მონაწილეობითი ბიუჯეტი)

№	შესასრულებელი სამუშაოს დასახელება	საპროექტო ღირებულება ლარი	სახელშეკრულებო თანხა ლარი	შესყიდვის ნომერი	ტენდერში გამარჯვებული ორგანიზაცია	ხელშეკრულების N	ჩარიცხული თანხა საბოლოო შესრულება (ლარი)
1	2023 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებული ქედის მუნიციპალიტეტის სოფლებში გარე-განათების მოწყობა. 14 სოფლისათვის.	139972	97746.29	NAT230007101	შპს გჯ 2019	ხელშეკრულება № 70 08.05.2023 წ.	94899.31
2	2023 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებული ქედის მუნიციპალიტეტის სოფლებში გარე-განათების მოწყობა. 14 სოფლისათვის.	164992	114766.26	NAT230007167	შპს გჯ 2019	ხელშეკრულება № 71 08.05.2023 წ.	111423.55
3	2023 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებული ქედის მუნიციპალიტეტის სოფლებში გარე-განათების მოწყობა. 11 სოფლისათვის.	106950	75744.31	NAT230007230	შპს გჯ 2019	ხელშეკრულება № 72 08.05.2023 წ.	73538.17
4	2023 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებული ქედის მუნიციპალიტეტის სოფლებში გარე-განათების მოწყობა. 34 სოფლისათვის.	125943	98439.92	NAT230012122	შპს მშენებელი 5	ხელშეკრულება № 117 13.07.2023 წ.	95572.74
5	2023 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებული ქედის მუნიციპალიტეტის სოფლებში გარე-განათების მოწყობა.	28618	24517.95	NAT230014169	შპს ჯმ. ჯგუფი	ხელშეკრულება № 127 14.08.2023 წ.	23803.83
		566475	411214.73				399237.6

ქედის მუნიციპალიტეტის მერია წლების განმავლობაში გარე განათების ქსელის გაზრდისათვის ქმედით ღონისძიებებს ახორციელებდა, რის შედეგადაც მუნიციპალიტეტში თითქმის ყველა სოფელში კეთდება და იზრდება გარე განათების ქსელის დაფარვის არეალი, ასე მაგალითად დაწყებული გარე განათების ბოძების მოწყობიდან 2023 წლის მდგომარეობით დამონტაჟდა და ქსელში ჩაერთო 5610 გარე განათების ბოძი. მონაცემები იხილეთ დანართ ნომერ ერთში.

დანართი №1

გარე განათების ქსელში არსებული ნათურების რაოდენობა 2023 წლის მდგომარეობით

№	ადმინისტრაციული ერთეული	დასახლება (სოფელი)	განათების ბოძები
1	წონიარისი	აბუქეთა	83
2		ვარჯანისი	41
3		წონიარისი	183
4		ტიბეთა	59
5		კანტაური	61
6	დოლოგანი	დოლოგანი	155
7		ჭალახმელა	60
8		ჭინკაძეები	131
9	მერისი	მერისი	98
10		სიხალიძეები	92
11		ინაშარიძეები	68
12		გარეტყე	14
13		გუნდაური	116
14		ჭალათი	16
15		ნამონასტრევი	44
16		სილიბაური	43
17	პირველი მაისი	პ/ მაისი	147
18		ქვედა და ზედა აგარა	67
19		კოლოტაური	144
20	ცხმორისი	ცხმორისი	126
21		ახო	104
22		გობრონეთი	67
23		კოკოტაური	55
24		გეგელიძეები	67
25	ოქტომბერი	ოქტომბერი	140
26		კუჭულა	172
27		მეძიბნა	119
28	ზვარე	ზვარე	54
29		ზესოფელი	65

30		კვაშტა	166
31		ვაიო	66
32		ზედა მახუნცეთი	124
33		ქვედა მახუნცეთი	82
34		ზუნდაგა	136
35		ქვედა და ზედა ბზუბზუ	259
36	მახუნცეთი	უჩხითი	47
37		ნამლისევი	73
38		მილისი	55
39		ქოსოფელი	25
40		ბალაძეები	99
41		მოსიაშვილები	70
42		ტაკიძეები	64
43	დანდალო	გოგიაშვილები	48
44		ხარაულა	63
45		ჯალაბაშვილები	29
46		დანდალო	97
47		არსენაული	62
48		აქუცა	93
49		გულები	91
50		დაბა ქედა	756
51		ზენდიდი	126
52	დაბა ქედა	კორომხეთი	43
53		ორცვა	32
54		შევაბური	94
55		ცხემნა	54
56		ძენწმანი	78
57		ხუნკუდა	87
	ჯამი		5610

რეკომენდაცია :

ა) ქედის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტურუქტურული ერთეულის ეკონომიკური განვითარების სამსახურმა ახალი გარეგანათების ბოძების შესყიდვების დროს გაითვალისწინოს ბოძების დანომვრის პირობა, რაც მინიმუმამდე შეამცირებს სხვადასხვა რისკების მოხდენის ალბათობას.

ბ) შპს ქედის კომუნალურსერვისმა მოახდინოს გარე განათების ბოძების ინვენტარიზაცია, დანომრვა და მისი აღრიცხვა ნომრების მიხედვით.

3) ა.(ა.)ი.პ. „ქედის ისტორიული მუზეუმი"-ს მიერ ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიღებული სახსრების მიზნობრივი ხარჯვის აუდიტი

ა.(ა.)ი.პ. „ქედის ისტორიული მუზეუმი"-ს შექმნისა და წესდების დამტკიცების სამართლებრივი საფუძველია - ქედის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 4 ივნისის №619 ბრძანება.

წესდების თანახმად ა.(ა.)ი.პ. „ქედის ისტორიული მუზეუმი"-ს ძირითად ამოცანებსა და ფუნქციებს წარმოადგენს:

მოპოვებული მასალის დაცვა-შენახვა, მისი მეცნიერული შესწავლა, ექსპონირება, პუბლიკაცია, პოპულარიზაცია, სამეცნიერო-საგანმანათლებლო მუშაობა და სხვა.

მუზეუმის ხელმძღვანელობას უფლება აქვს დამფუძნებელთან შეთანხმებით მუზეუმში ექსპონირებული ნივთებისა და კოლექციების დათვალიერებისათვის დააწესოს გადასახადი, თუმცა ამ კუთხით ა.(ა.)ი.პ. „ქედის ისტორიული მუზეუმი"-ს ხელმძღვანელობას არავითარი სამუშაოები ჩატარებული არ აქვს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მუზეუმის საქმიანობის მიზანი არ არის სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება, მაგრამ იგი უფლებამოსილია ეწეოდეს დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობას, რომლისაგანაც მიღებული შემოსავალი უნდა მოხმარდეს მუზეუმის მიზნების რეალიზებას.

საქართველოს კანანმდებლობა მუზეუმების შესახებ განსაზღვრავს სამუზეუმო ექსპონანტების დაცვისა და შენახვის წესებს, კერძოდ: სამუზეუმო ექსპონანტი უნდა ინახებოდეს და გამოიფინებოდეს სათანადოდ აღჭურვილ შენობაში, სამუზეუმო საცავში ტემპერატურის, ტენიანობის თუ სხვა აუცილებელი რეჟიმის დაცვით.

მონიტორინგით გაირკვა, რომ ა.(ა.)ი.პ. „ქედის ისტორიული მუზეუმი"-ს შენობაში ტემპერატურის, ტენიანობის თუ სხვა აუცილებელი რეჟიმის დანადგარები არ არის დამონტაჟებული, რის გამოც არ ხდება ტემპერატურისა და ტენიანობის კონტროლი, რაც რისკის შემცველია.

კანონმდებლობით მიღებულია, რომ მუზეუმით სარგებლობა უნდა შეეძლოს ყველა მოქალაქეს, დამთავლიერებლისათვის მოსახერხებელ საათებში, მაგრამ მუზეუმის ინფრასტრუქტურა არ იძლევა საშუალებას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის იყოს ადაპტირებული გარემო და შესაბამისად არაა მოწყობილი პანდუსი, ან სხვა დამხმარე საშუალებები.

ა.(ა.)ი.პ. „ქედის ისტორიული მუზეუმი"-ს ხელმძღვანელობის სიტყვიერი განმარტებით გაირკვა, რომ სამუზეუმო ექსპონანტებს უტარდებათ მცირე სახის

რესტავრაცია და მოვლა, მაშინ, როცა მათ არ გააჩნიათ შესაბამისი სერთიფიკატი, ამიტომ ორგანიზაციამ უნდა იზრუნოს თანამშრომლების გადამზადებისა და სერთიფიცირებისათვის, ან უზრუნველყოს შესაბამისი სპეციალისტების მოწვევა.

საქართველოს კანონი მუზეუმის შესახებ განსაზღვრავს სამუზეუმო ექსპონანტების აღრიცხვის წესს, რომლის თანახმადაც სამუზეუმო ექსპონანტი არ ექვემდებარება საბუღალტრო აღრიცხვას და ექსპონანტები უნდა აღირიცხოს მუზეუმის ძირითადი სააღრიცხვო დოკუმენტებით, კერძოდ:

ა) ძირითად შემოსულობათა საინვენტარო წიგნი;
ბ) მუზეუმის საინვენტარო წიგნი:
გ) სამეცნიერო-დამხმარე წიგნი;
დ) დროებით შემოსულობათა საინვენტარო წიგნი;
ე) ძვირფასეულობის შემცველი სამუზეუმო ექსპონანტის აღრიცხვის სპეციალური წიგნი;
ვ) სამუზეუმო ექსპონანტის მიღება-ჩაბარების აქტი;
ზ) სამუზეუმო ექსპონანტის სამეცნიერო პასპორტი.

შიდა აუდიტორული შემოწმებით გაირკვა, რომ ა.(ა.)ი.პ. „ქედის ისტორიული მუზეუმი"-ს მიერ არსებული ექსპონანტები აღრიცხულია ბუღალტრულად, ასევე ისინი გატარებულია ძირითად შემოსულობათა საინვენტარო წიგნში, მაგრამ კვლავ მოსაწესრიგებელია დამატებით ექსპონანტების აღრიცხვა ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტების შესაბამისად, რაც საქართველოს კანონის მუზეუმების შესახებ მე-4 თავის 22-ე მუხლის სამუზეუმო ექსპონანტის აღრიცხვის წესის დარღვევაა.

ა.(ა.)ი.პ. „ქედის ისტორიული მუზეუმის" 2022 და 2023 წლის ბიუჯეტის შესრულებისა და ბუღალტრული აღრიცხვა ანგარიშგების მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისობა

წარმოდგენილი ბალანსის მიხედვით ა.(ა.)ი.პ. „ქედის ისტორიულ მუზეუმს" 2022 წლის დაზუსტებული საბიუჯეტო ასიგნებებით (არაფინანსური აქტივების ჩათვლით) განესაზღვრა 104300 ლარი, ამავე პერიოდში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 100621 ლარი, ანუ გეგმა შესრულდა 96.47%-ით.

ა.(ა.)ი.პ. „ქედის ისტორიული მუზეუმის" 2022 წლის ბიუჯეტის მუხლობრივ ჭრილში შესრულება შემდეგნაირია:

შრომის ანაზღაურების მუხლით ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 51545 ლარის ასიგნება, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა51539 ლარი, ანუ გეგმის 99.98%-ია.

საქონელი და მომსახურეობის მუხლით ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 46820 ლარი ასიგნირება, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 43390 ლარი, ანუ გეგმის 92.67%-ი, აქედან:

_ შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლით გაწეულია 16000 ლარი.
_ მივლინებაზე გაიხარჯა 994 ლარი.
_ ოფისის ხარჯმა შეადგინა 6227 ლარი.
_ ტრანსპორტის ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯმა შეადგინა 11270 ლარი.
_ სხვა დანარჩენი საქონელზე და მომსახურებაზე გაიხარჯა 8900 ლარი.

არაფინანსური აქტივების მუხლით თანხა შეადგენს 3760 ლარს.

2023 წლის ა.(ა.)ი.პ. „ქედის ისტორიულ მუზეუმი"-ს დაზუსტებული საბიუჯეტო ასიგნებები (არაფინანსური აქტივების ჩათვლით) განისაზღვრა 165450 ლარით, ამავე პერიოდში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 163547,54 ლარი, ანუ გეგმის 98,85%.

მუხლობრივ ჭრილში შესრულება შემდეგნაირია:

შრომის ანაზღაურების მუხლით ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 80100 ლარის ასიგნება, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 80028,57 ლარი, ანუ გეგმის 99.91 %-ი.
საქონელი და მომსახურეობის მუხლით ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 76876 ლარი ასიგნირება, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 75143,91 ლარი, ანუ გეგმის 97,75 %-ი, აქედან:
_ შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლით გაწეულია 41190,47 ლარი, რაც 2022 წელთან შედარებით გაზრდილია 25190,47 ლარით.
_ მივლინებისათვის გაიხარჯა 821,09 ლარი.
_ ოფისის ხარჯების მუხლით გაწეულია 1302,35 ლარი.
_ ტრანსპორტის ტექნიკისა და იარაღის მოვლა შენახვის ხარჯმა შეადგინა 10050 ლარი.
_ სხვა ხარჯების მუხლით გაწეულია 201,06 ლარი.
_ არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გაწეულია 8174 ლარი.

საანგარიშო პერიოდის პირველადი საბუღალტრო დოკუმენტაციის
აუდიტით დადგენილია:

მონიტორინგით დადგინდა, რომ საინვენტარიზაციო კომისიის მიერ არაა საოფისე ინვენტარი დანომრილი და ნომრების შესაბამისად საინვენტარო მასალებში გატარებული, მაშინ როცა წინა აუდიტორული შემოწმების დროს მიცემული ქონდა რეკომენდაცია აღნიშნული დარღვევის გამოსწორებასთან.

ამასთან, მონიტორინგით გაირკვა, რომ 2022-2023 წლებში ა.(ა.)ი.პ. „ქედის ისტორიულ მუზეუმ"-ს საწვავის შესყიდვასთან დაკავშირებით ხელშეკრულება დადებული ქონდა შპს „მერვა", შპს „შერვა" და შპს სოკარ ჯორჯია პეტროლიუმთან, საიდანაც ორი წლის მანძილზე მიღებულია 14088 ლარის ღირებულების საწვავი.

ა.(ა.)ი.პ. „ქედის ისტორიულ მუზეუმ"-ში მძღოლის არარსებობის გამო საწვავის მიღებასა და ხარჯვას ახდენს დირექტორი ვაჟა ფარტენაძე, ის საგზაო ფურცელში, ასახავს გასვლის ადგილს, დაბრუნების ადგილსა და გავლილ კილომეტრაჟობას.

მონიტორინგით დადგინდა, რომ ყოველთვიურად ერთიდა იგივე ოდენობით და მიმართულებით ხარჯავს საწვავს და არ ხდება საწვავის ხარჯვის მიზნობრიობის დასაბუთება.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ა.(ა.)ი.პ. „ქედის ისტორიულ მუზეუმ"-ს ყავს HONDA GR-V2.4 სახ№ DH971HD" ტიპის ავტომანქანა, აღნიშნულ ავტომანქანის რემონტზე და სათადარიგო ნაწილების შეძენაზე 2022-2023 წლებში სულ გახარჯულია 7400 ლარი,

მიუხედავათ ასეთი მაღალი ხარჯისა მონიტორინგის პერიოდში გაირკვა, რომ მწყობრში არ აქვს ავტომანქანას გავლილი კილომეტრაჟობის მაჩვენებელი და საწვავის ჩამოწერა მის გარეშე ხდება, საწვავის ხარჯვისა და მისი ჩამოწერის მხრივ მთელი რიგი ხარვეზებია, რაც მაღალი რისკის შემცველია.

2022 წელს გამარტივებული შესყიდვის გზით გაფორმებულია სულ 31 ხელშეკრულება 24468 ლარზე საიდანაც ათვისებამ შეადგინა 100 პროცენტი.

2023 წელს გამარტივებული შესყიდვის გზით გაფორმებულია 29 ხელშეკრულება 3667,7 ლარზე, საიდანაც ათვისებამ შეადგინა 36154,14 ლარი. მონაცემები იხილეთ 1 და 2 ცხრილში.

2022 წელს განხორციელებული შესყიდვები ცხრილი №1

N	შესყიდული საქონლის ან მომსახურების დასახელება	შესყიდვის დაზუსტებული ფასი (პრეტენდენტის საბოლოო ფასი)	მიმწოდებლის დასახელება	№	ფასი
1	საწვავი	1860	შპს "შერვა"	2	1860
2	როუტერი	78	შპს "გეპა"	3	78
3	ხელნაკეთობები და ხელოვნების ნივთების შესაქმნელად საჭირო მასალები	900	ფ/პ თეონა აბულაძე	5	900
4	საწვავი	2370	შპს „შერვა“	6	2370
5	სატრანსპორტო საშუალებებისა და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება და მასთან დაკავშირებული მომსახურებები	1000	თათია მირცხულავა	7	1000
6	კულტურული ღონისძიება	3000	ი.მ დარეჯან გორგაძე	8	3000
7	საწვავი	1170	შპს შერვა	9	1170
8	საწმენდ-საპრიალებელი საქონელი	600	შპს მიგა	10	600
9	კარის საკეტები	200	შპს მიგა	11	200
10	სატრანსპორტო საშუალებებისა და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება და მასთან დაკავშირებული მომსახურებები	1300	შპს მიგა	12	1300
11	მეტყევეობისა და ტყეკაფვის პროდუქტები	800	დავით ფარტენაძე	13	800
12	ხელნაკეთობები და ხელოვნების ნივთების შესაქმნელად საჭირო მასალები	680	თენგიზ გათენაძე	14	680
13	საწვავი	2370	შპს "შერვა"	15	2370
14	პერსონალური კომპიუტერის სისტემური ბლოკი	1300	შპს "გეპა"	16	1300
15	კომპიუტერული მომსახურება(3 ცალი კომპიუტერის შეკეთება)	150	შპს "გეპა"	17	150
16	კატრიჯი	160	შპს "გეპა"	18	160

17	კომპიუტერული ტექნიკა	180	შპს "გეპა"	19	180
18	საკანცელარიო საქონელი	570	ი/მ მზიური გორგაძე	20	570
19	ექსპონატი	600	ფ/პ ამირან ბერიძე	21	600
20	არქეოლოგიური სამუშაო	400	ფ/პ თამარ არველაძე	22	400
21	არქეოლოგიური სამუშაო	400	ფ/პ მაგული ფალავანდიშვილი	23	400
22	არქეოლოგიური სამუშაო	400	ფ/პ აბდულ ანანიძე	24	400
23	არქეოლოგიური სამუშაო	400	ფ/პ ამირან ბერიძე	25	400
24	არქეოლოგიური სამუშაო	300	ფ/პ თეონა აბულაძე	26	300
25	არქეოლოგიური სამუშაო	400	ფ/პ ისრაფილ გოლომანიძე	27	400
26	ექსპონატი	280	ფ/პ გიორგი ლომინაძე	28	280
27	არქეოლოგიური სამუშაო	600	ფ/პ ციური ბერიძე	29	600
28	არქეოლოგიური სამუშაო	400	ფ/პ მარიამ ფარტენაძე	30	400
29	არქეოლოგიური სამუშაო	550	ფ/პ რეზო ბერიძე	31	550
30	არქეოლოგიური სამუშაო	650	ფ/პ დავით დარტენაძე	32	650
31	არქეოლოგიური სამუშაო	400	ფ/პ ნაირა ფარტენაძე	33	400
		24468			24468

2023 წელს განხორციელებული შესყიდვები

ცხრილი №2

N	შესყიდული საქონლის ან მომსახურების დასახელება	შესყიდვის დაზუსტებული ფასი (პრეტენდენტის საბოლოო ფასი)	მიმწოდებლის დასახელება	№	თანხა
1	მობილური სატელეფონო კავშირის მომსახურებები	1020	სს სილქნეტი	1	515.44
2	ინტერნეტმომსახურება	3000	სს სილქნეტი	1	2750.00
3	საწვავი	3000	შპს შერვა	1//1	3000.00
4	საწმენდი და საპრიალებელი პროდუქცია	600	შპს მიგა+	2	600.00
5	ხელნაკეთობები და ხელოვნების ნივთების შესაქმნელად საჭირო მასალები	960	ფ.პ ისრაფილ გოლომანიძე	3	960.00
6	სატრანსპორტო საშუალებებისა და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება და მასთან დაკავშირებული მომსახურებები	1000	შპს მიგა	4	1000.00
7	მეტყევეობისა და ტყეკაფვის პროდუქტები	1500	ფ.პ ლაშა ფარტენაძე	5	1500.00
8	ჰაერის კონდიცირების მოწყობილობები	3725	შპს ჯოისი	6	3725.00
9	სხვადასხვა კომერციული მომსახურება და მასთან დაკავშირებული მომსახურებები	1500	ი.მ ზაურ შავიშვილი	6//	1500.00

10	ცეცხლმაქრები	494.7	შპს მეგა ჰოულდინგ	7	494.70
11	საოფისე მანქანა-დანადგარები, აღჭურვილობა და საკანცელარიო ნივთები, კომპიუტერების, პრინტერებისა და ავეჯის გარდა	650	ი.მ მზიური გორგაძე	8	650.00
12	საწვავი	3318	შპს სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი	9	2550.00
13	არქეოლოგიური მომსახურებები	500	თამარ არველაძე	10	500.00
14	არქეოლოგიური მომსახურებები	500	ისრაფილ გოლომანიძე	11	500.00
15	ხელსაწყოები, საკეტები, გასაღებები, ანჯამები, დამჭერები, ჭაჯვები და ზამბარები/რესორები, ნათურები,	1725	შპს მიგა+	13	1725.00
16	ავტომობილებისა და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება	3500	ზურა კეკელიძე	14	3500.00
17	სხვადასხვა კომერციული მომსახურება და მასთან დაკავშირებული მომსახურებები	2500	ზაურ შავიშვილი	15	2500.00
18	არქეოლოგიური მომსახურებები	650	აბდულ ანანიძე	16	650.00
19	არქეოლოგიური მომსახურებები	650	ამირან ბერიძე	17	650.00
20	არქეოლოგიური მომსახურებები	650	დავით ფარტენაძე	18	650.00
21	არქეოლოგიური მომსახურებები	650	ნაირა ფარტენაძე	19	650.00
22	არქეოლოგიური მომსახურებები	650	მაგული ფალავანდიშვილი	20	650.00
23	არქეოლოგიური მომსახურებები	650	მარიამ ფარტენაძე	21	650.00
24	ელექტროგაყვანილობებისა და ელექტრომოწყობილობების მონტაჟი	2000	დავით ნაკაშიძე	22	2000.00
25	საბუღალტრო, აუდიტორული და ფისკალური მომსახურებები	150	შპს აუდიტორული ფირმა ლაზიკა აუდიტი	23	150.00
26	იზოლირებული მავთული და კაბელი, ელექტროენერგიის გამანაწილებელი და საკონტროლო აპარატურა	300	შპს მიგა+	24	300.00
27	ვიდეოთვალთვალის კამერები	1489	შპს საბატა	25	1489.00
28	ქსელები	185	შპს საბატა	26	185.00
29	კომპიუტერული მოწყობილობები და აქსესუარები	160	შპს გეპა	27	160.00
		37676.7			36154.14

2022-2023 წლებში ა.(ა.)ი.პ. „ქედის ისტორიული მუზეუმი"-ს მიერ არქეოლოგიური მომსახურებისათვის დაიხარჯა 9800 ლარი, სადაც მუშაობა მიმდინარეობდა ექსპედიციის ხელმძღვანელის არქეოლოგიის აკადემიური დოქტორის ასოცირებული პროფესორი ვაჟა ფარტენაძის ხელმძღვანელობით და სამუშაოები წარმოებდა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნულ სააგენტოსთან შეთანხმებით.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე რეკომენდირებულია:

1. ა.(ა.)ი.პ. „ქედის ისტორიული მუზეუმი"-ს დირექტორმა და ბუღალტერმა:

_ მიზანშეწონილად მიგვაჩნია, პარტნიორთან შეთანხმებით შეიმუშაოს მუზეუმში ექსპონირებული ნივთებისა და კოლექციების დათვალიერებისათვის გადასახადის დაწესების წესი.
_ დაიცვას საქართველოს კანონი მუზეუმების შესახებ, სამუზეუმო ექსპონანტების დაცვისა და შენახვის წესის შესაბამისად.
_ უზრუნველყოს ადაპტირებული გარემო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის.
_ იზრუნოს თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებისათვის და მათი სერთიფიცირებისათვის.
_ სრულად დაიცვას საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N 605 ბრძანება "საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის" დამტკიცების შესახებ.

4) ა.(ა.)ი.პ. „ქედის სახელოვნებო სკოლის" მიერ ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიღებული სახსრების მიზნობრივი ხარჯვის აუდიტი.

ა.(ა.)ი.პ. „ქედის სახელოვნებო სკოლის" წესდების თანახმად სკოლის ძირითად ამოცანებსა და ფუნქციებს წარმოადგენს:

ა) მისცეს მოსწავლეებს სახელოვნებო განათლება;

ბ) მოამზადოს მოსწავლეები სწავლის გასაგრძელებლად შემდგომ საფეხურზე სახელოვნებო განათლების მიღების მიზნით;

გ) ხელოვნების სხვადასხვა დარგებთან ზიარების თანაბარი პირობების შექმნით ხელი შეუწყოს პიროვნების ინდივიდუალური შემოქმედებითი მიდრეკილების განვითარებას, კულტურული მემკვიდრეობის შესწავლას და ამ გზით მის შენარჩუნებას, გარე სამყაროს მხატვრული აღქმის უნარის ჩამოყალიბებას.

სახელოვნებო სკოლის ამოცანებია:

ა) აზიაროს მოსწავლეები ხელოვნების სხვადასხვა დარგის საფუძველს:

ბ) გააცნოს და შეაყვაროს მოსწავლეებს ეროვნული კულტურული მემკვიდრეობა ქართული და მსოფლიო ხელოვნების კლასიკური ნიმუშები;

გ) იზრუნოს მოსწავლეთა ესთეთიკურ-მხატვრული გემოვნების ჩამოყალიბებაზე;

დ) მოამზადოს აქტიური მსმენელი;

ამდენად, მონიტორინგით გაირკვა, რომ ა.(ა.)ი.პ. „ქედის სახელოვნებო სკოლის" მიერ 2022-2023 წლებში განხორციელებული ღონისძიებების შესრულების მდგომარეობა წარმოდგენილი დოკუმენტებით შესაბამისობაშია დამტკიცებული წესდების ძირითად საქმიანობასთან.

ქედის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 20 იანვრის №664 ბრძანების კერძო სამართლის (არასამეწარმეო) არაკომერციული იურიდიული პირი-ქედის სახელოვნებო სკოლის წესდების თანახმად ა.(ა.)ი.პ. „ქედის სახელოვნებო სკოლა"-ს უფლება აქვს შემდეგზე, კერძოდ: მიუხედავათ იმისა, რომ სკოლის საქმიანობის მიზანი არ არის სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება, იგი უფლებამოსილია ეწეოდეს დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობას, რომლისაგანაც მიღებული შემოსავალი უნდა მოხმარდეს სახელოვნებო სკოლის მიზნების რეალიზებას. ასე, რომ სკოლას უფლება აქვს გახსნას ფასიანი მომსახურების ჯგუფები 6 წლის ასაკიდან ნებისმიერი ასაკის მსურველთათვის.

ა.(ა.)ი.პ. „ქედის სახელოვნებო სკოლის" 2022-2023 წლის ბიუჯეტის შესრულებისა და ბუღალტრული აღრიცხვა ანგარიშგების მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისობა

ა.(ა.)ი.პ. „ქედის სახელოვნებო სკოლის" 2021 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის №10 დადგენილებით 145000 ლარის ოდენობით, ბიუჯეტში 2022 წლის განმავლობაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად საბოლოოდ იგი განისაზღვრა 157800 ლარით.

ა.(ა.)ი.პ. „ქედის სახელოვნებო სკოლის" მიერ 2022 წელს გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 151505 ლარი, ანუ გეგმა შესრულებულია 96%-ით. მუხლობრივად ხარჯები შემდეგნაირად არის გადანაწილებული, კერძოდ:

- შრომის ანაძრაურებაზე გაიხარჯა 127440 ლარი.
- პრემიისათვის გაიცა 5800 ლარი.
- შტატგარეშე თანამშრომელთა ანაზღაურებაზე გაიხარჯა 11720 ლარი.
- მივლინებაზე გაიხარჯა 901 ლარი.
- ოფისისის ხარჯმა შეადგინა 5644 ლარი.

ა.(ა.)ი.პ. „ქედის სახელოვნებო სკოლის" 2023 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის №22 დადგენილებით 242800 ლარის ოდენობით, ბიუჯეტში 2023 წლის განმავლობაში განხორციელდა ცვლილება და საბოლოოდ იგი განისაზღვრა 272175 ლარით.

2023 წლის ა.(ა.)ი.პ. „ქედის სახელოვნებო სკოლის" საკასო ხარჯმა შეადგინა 263544 ლარი, რაც გეგმის 97%-ს შეადგენს.

- შრომის ანაძრაურებაზე გაიხარჯა 200854 ლარი.
- პრემიისათვის გაიცა 8375 ლარი.

- შტატგარეშე თანამშრომელთა ანაზღაურებაზე გაიხარჯა 44000 ლარი.
- მივლინებაზე გაიხარჯა 352 ლარი.
- ოფისისის ხარჯმა შეადგინა 9963 ლარი.

2022-2023 წლებში განხორციელებული შესყიდვების მონიტორინგი

2022-2023 წლებში ა.(ა.)ი.პ. „ქედის სახელოვნებო სკოლის“ მიერ სხვადასხვა მიმართულებით დადებულია 16 ხელშეკრულება, სულ 14125,12 ლარზე, საიდანაც ათვისებულია 14125,12 ლარი. თითოეული ხელშეკრულების ნომერი, შესყიდვის ობიექტის და მიმწოდებლის დასახელება იხილეთ #1 და #2 დანართებში.

დანართი #1

მონაცემები

2021 წლის 1 იანვრიდან 2021 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

N	შესყიდული საქონლის ან მომსახურების დასახელება	შესყიდვის საშუალება	მიმწოდებლის დასახელება	სახელშეკრულებო		ფაქტიურად ჩარიცხული
				№	თანხა	თანხა
1	2	3	4	5	6	7
1	საკანცელარიო ნივთები	გამარტივებული შესყიდვა	პს ,,კანცბუმი	1	499.8	499.8
2	კომპიუტერთან დაკავშირებული მომსახურეობები	გამარტივებული შესყიდვა	ი/მ,, მანუჩარ დავითაძე	2	150	150
3	სამეურნეო საქონელი	გამარტივებული შესყიდვა	შპს,,მიგა+	3	360	360
4	სამეურნეო საქონელი	გამარტივებული შესყიდვა	შპს,,მიგა+	4	400	400
5	გათბობის მიზნით(შეშის შესყიდვა	გამარტივებული შესყიდვა	ი/მ,, თამაზი დავითაძე	5	800	800
6	კომპიუტერული მოწყობილობების შესყიდვა	გამარტივებული შესყიდვა	შპს ,,კომპ+"	6	1590	1590

7	სატელეფონო მომსახურება	კონსოლიდირებული	შპს ჯეოსელი"	7	1040	1040
					4839,8	4839,8

დანართი#2

მონაცემები
2023 წლის 1 იანვრიდან 2023 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდში განხორციელებული
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

N	შესყიდული საქონლის ან მომსახურების დასახელება	შესყიდვის საშუალება	მიმწოდებლის დასახელება	სახელშეკრულებო		ფაქტიურად ჩარიცხული
				№	თანხა	თანხა
1	2	3	4	5	6	7
1	სატელეფონო მომსახურება	კონსოლიდირებული ტენდერი	სს,,სილქნეტი"	1	79,79	79,79
2	სასკოლო მერხები	გამარტივებული შესყიდვა	შპს,,შავი ზღვის ბიზნეს აკადემია"	2	3000	3000
3	მუსიკალურ ფესტივალში მონაწილეობის ორგანიზება	გამარტივებული შესყიდვა	ი/მ იოსებ ირემაძე	3	2195.64	2195.64
4	ინტერნეტის მომსახურება	გამარტივებული შესყიდვა	სს,,სილქნეტი"	4	593.68	593.68
5	მუსიკალურ ფესტივალში მონაწილეობის ორგანიზება	გამარტივებული შესყიდვა	ი/მ ,,ზაზა აბაშიძე"	5	1996	1996
6	გათბობის მიზნით შეშის შემოტანა	გამარტივებული შესყიდვა	ი/მ დავით არძენაძე	6	900	900
7	სამეურნეო საქონელი	გამარტივებული შესყიდვა	შპს ,,მიგა+"	7	400	400

8	სამეურნეო საქონელი	გამარტივებული შესყიდვა	შპს ,,მიგა+"	8	400	400
9	სანჰიგიენური საქონელი	გამარტივებული შესყიდვა	შპს ,,მიგა+"	9	200	200
					9285,32	9285,32

2022-2023 წლის საანგარიშო პერიოდის პირველადი საბუღალტრო დოკუმენტაციის მონიტორინგით დადგენილია, რომ 2022 წელს ა.(ა.)ი.პ. „ქედის სახელოვნებო სკოლა"-ში შექმნილია მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაციის კომისია, რომელის მიერ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესი"-ს შესაბამისად კომისიის მიერ სრულად გაკეთებული არ არის მატერიალურ ფასეულობებზე საინვენტარო ნომერი. მაშინ, როცა წინა აუდიტორული შემოწმების შედეგად ხელმძღვანელობას მიცემული ქონდა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით რეკომენდაცია.

ასევე დარღვეულია ა.(ა.)ი.პ. „ქედის სახელოვნებო სკოლა"-ში წესდების მე-4 მუხლის მე-4 ქვეპუნქტი, რომელიც გულისხმობს „სკოლაში აღსაზრდელთა მიღების შემთხვევაში დაწესებულებასა და აღსაზრდელ მშობელს (კანონიერი წარმომადგენლი) შორის წერილობითი ხელშეკრულების გაფორმებას, რომელშიც დეტალურად უნდა განისაზღვროს მხარეთა უფლება-მოვალეობანი", რაც ფაქტიურად არ სრულდება და არ არის დადებული ხელშეკრულება პასუხისმგებელ პირებს შორის.

საშტატო-სახარჯთაღრიცხვო დისციპლინის, დაცულობისა და საკადრო პოლიტიკის მდგომარეობა

ა.(ა.)ი.პ. „ქედის სახელოვნებო სკოლა"-ს 2022 წელს შტატით მუშაობდა 25 თანამშრომელი, ხოლო 4 შტატდარეშე თანამშრომელი, რომელთა სახელფასო ხარჯმა სულ შეადგინა 144960 ლარი. 2023 წელს შტატით მუშაობდა 23 თანამშრომელი, ხოლო 7 შტატდარეშე თანამშრომელი, რომელთა სახელფასო ხარჯმა სულ შეადგინა 253229 ლარი, რაც წინა წელთან შედარებით 57,24%-ით გაზრდილია ხარჯი.

ა.(ა.)ი.პ. „ქედის სახელოვნებო სკოლა"-ში მუშაობს სულ 18 პედაგოგი, რომლებიც ემსახურებიან 217 მოსწავლის აღზრდას, რომელთა საათობრივი დატვირთვა შემდეგნაირად არის განაწილებული:

დანართი #3

მონაცემები					
ა.(ა.)ი.პ. „ქედის სახელოვნებო სკოლა“-ში განყოფილებების, საგნების სწავლებისა და პედაგოგთა საათობრივი დატვირთვის შესახებ					
განყოფილება	#	საგნები	პედაგოგის სახელი გვარი	საათობრივი დატვირთვა თვეში	ბავშვთა რაოდენობა
ქორეოგრაფიული განყოფილება	1	ქართული ცეკვა	გოგიტა ფაღავა	19	40 ბავშვი (3 ჯგუფი)
	2	ქართული ცეკვა	მზია ტუნაძე	19	52 ბავშვი (3 ჯგუფი)
	3	საკრავი ფანდური	მაია ლორთქიფანიძე	20	15
	4	გუნდი	ნაზი სურმანიძე	18	36
	5	საკრავი დოლი	ნოდარ გორგაძე	14	7
	6	ხალხური საკრავები	მარინა ჯიჯავაძე	17	10
	7	სოლო სიმღერა	ირინა დევაძე	23	14
	8	ხელოვნების ისტორია	მალხაზ გორგილაძე	24	IV-V-VI კლასი
საფორტეპიანო განყოფილება	1	ფორტეპიანო	თოდრაძე გურანდა	28	19
	2	ფორტეპიანო	ქაჯაია ლამზირა	35	17
	3	ფორტეპიანო	ხაბაზი სალომე	35	19
	4	ფორტეპიანო	ჭყონია ნონა	28	14
	5	მუსიკის სამყარო	ბერიძე ირმა	13	I,II,III,IV,V, VI კლასი
ჩასაბერი საკრავების განყოფილება	1	ფლეიტა	გორგაძე დონარი	32	16
	2	ანსამბლი	დავითაძე თამაზი	20	10

	3	სოლფეჯიო	დუმბაძე ლელა	7	

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე რეკომენდირებულია:

1. ა.(ა.)ი.პ. „ქედის სახელოვნებო სკოლის“ დირექტორმა:

_ საქმიანობა წარმართოს საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N 605 ბრძანება "საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის" დამტკიცების შესახებ.

_ დაწესებულებაში აღსაზრდელის მიღება განახორციელოს ა.(ა.)ი.პ. „ქედის სახელოვნებო სკოლის“ წესდების მე-9 მუხლის მე-4 ქვეპუნქტის შესაბამისად.

შემსრულებელი

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის

პირველადი სტრუქტურული ერთეულის

შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი შოთა ბერიძე

(17.04.2025წ.)